

F-128
1913



სამეურნეო ჟურნალი

გოგაპალი

წელიწადი
მესამეი.

წელიწადი
მესამეი.

№ 9 ზ 10.

მაისი

1913 წ.

შინაარსი:

გარედ-კახეთის სამეურნეო თათბირი.....	3
ვ. რუსიშვილი..... სბას თეთრი სიფაღარათე.....	4
ა. კახელაძე..... რ ძ ე.....	6
ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოე- ბის წევრთა წლიური კრება.....	8
გ. რცხილაძე..... საგულისხმო მოხსენება (თარგმანი) ...	24
განცხადებანი.....	31—32

წელიწადი წელიწადში ღირს—3 მანეთი. მისამართი: Тифлиς, Варятинская, 5.

ტფილისი, 1913 წ.

8.11.19
11.11.19

სამეურნეო ქურხალი

მოსავალი

იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ

თანამშრომელთა საშუალებოდ.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქციამ შეასწოროს და შეამოკლოს. წერილები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასაბრუნებლად.

რედაქცია მზად არის აღმოუჩინოს „მოსავალი“-ს მკითხველებს ყოველ გვარი შუამდგომლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრედვე ყველა სამეურნეო ნაწარმოების შექმნა-გასაღებაში.

განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრიქონი ვენური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ღირს **სამი შაური**.

წლიური აბონემენტებისათვის განცხადების ფასი რედაქციასთან **შეთანხმებით**.

განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.



გარედკახეთის სამეურნეო თათბირი

ქართულმა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ განიზრახა წელს 29—31 მარტი თვისთვის სოფელ საგარეჯოში გამართოს გარედკახეთის მეურნეთა თათბირი ადგილობრივ მეურნეობის საჭიროებათა გამოსარკვევად და შესაფერი ზომების მისაღებად.

სათქმელად ადვილია — „ადგილობრივ საჭიროებათა გამორკვევა და შესაფერი ზომების მიღება“... მაგრამ ასასრულებლად კი ძრიელ რთული და დიდ პასუხსაგები საქმეა.

რომელი ერთი მხარე უნდა აიღოთ ამ ადგილობრივ მეურნეობისა, რომ შესწავლასა და დახმარებას არ თხოულობდეს.

ამ რაიონში ან სულ არარის ან და ძაან ცოტანი არიან იმისთანა მეურნეები, რომ სამაგალითო მეურნეობა ჰქონდეთ. სამაგალითო იმ აზრით კი არა, რომ ყოველ მხრივ უნაკლულო იყოს ეს მათი მეურნეობა, არამედ წასაბამ მაგალითად გამოდგეს მეზობლებისათვის. ყველა თავისთვის მუშაობს აქ ცალკე, მაგრამ უსახსრობისა და უცოდინარობისა გამო ვერცერთი მათგანი თავის საკუთარ საოჯახო საქმესაც ვერ ასვლია, წელში ვერ გამართულა და აბა სხვის დახმარებას და დარიგებას როგორ მოახერხებს.

აქედან უნდა შემდეგი დავსკვნათ: ხსენებული თათბირი რომ გაათავებს თავის საქმეს და დაიშლება, ისევ ისეთი მდგომარეობა კი აღარ უნდა ჩამოვარდეს, როგორც იყო მაღამდე, არამედ ამ დროებით ორგანიზაციის,

სათათბიროს, მაგიერ უნდა დაარსდეს სისტემატიურად მომქმედი ორგანიზაცია, ვით ადგილობრივი სარაიონო კომიტეტი ანუ კომიტეტები, რომელნიც იკისრებენ მომავალში მზრუნველობას სხვადასხვა სამეურნეო დარგში.

უწინარეს ყოვლისა უნდა ვსთქვათ, რომ სიცოცხლის ნიშანწყალს და საქმიანობის უნარს გამოიჩინეს მარტო ის ორგანიზაცია, რომელიც ადგილობრივ ელემენტებიდან იქნება შემდგარი და თავის მოღვაწეობას ამ ელემენტების თვითმომქმედებაზე დაამყარებს.

ჩვეულებრივ მეურნეს ეხლა უფრო ეჭვირვება წინ გაძლოა, ვიდრე უწინ. ამ აზრის დასამტკიცებლად მარტო შექმდეგი საბუთი კმარა. სახელმწიფო ბანკმა ძრიელ შეუწყო ამ ბოლოს დროს ხელი წვრილ საკრედიტო ამხანაგობების გავრცელებას სოფლად: ადვილად და უხვად აძლევს მათ ფულს ამხანაგებზე გასაცემად სესხად. განზრახვა ამ საქმისა დიდად პატივსადებია, მაგრამ შედეგი შეიძლება არა სასურველი მოჰყვეს. მართალია, თვით სესხის გამცემლებს, რომელნიც საკრედიტო ამხანაგობაში მუშაობენ, დავალებული აქვთ სესხის მიცემით ხელი იმას გაუმართონ ხოლმე, ვინც ვალს მართლა რაიმე სამეურნეო საქმისათვის იღებს და ნასესხებს ფულს ამ საქმეს მოახმარებს. მაგრამ ეს არა კმარა დღევანდელს პირობებში. დახარჯული ფული თვით იმ საქმემ უნდა აანაზღაუროს, რომელზედაც დაიხარჯა. და ასეთი საქმის ამორჩევა კი ყოველ მხრივ აწონ-

06
F-5390

საქ. სსრ კ. მაქსის
საბ. ს. ს. იქსიძე
გვგულითიძის

დაწონვას თხოულობს წინადევე, რომ მერე მოლოდინი არ გამტყუნდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში სესხის ამლები უფრო დავალიანდება და წარმატების მაგივრად დაჰკარგავს იმასაც, რაც აქვს. მარტო ის არა კმარა, რომ მამულის ღირებულმა ფასმა აიწიოს ნასესხები ფულის შიგ ჩაყრით. სესხი დაბრუნებას თხოულობს. დაწყობილმა საქმემ უნდა დროზე მოიტანოს შემოსავალი, რომ ვალი გადაიწყვიტოს.

ყველა ამის გათვალისწინება არც თუ მაგრე რიგად ადვილი საქმეა დღევანდელს ჩვენს მეურნესათვის, მას სჭირია სწავლა-დარიგება თვით ამ სამეურნეო საქმეში, რომელიც მას ჰსურს ამ ნასესხები ფულით გააკეთოს.

საკრედიტო დაწესებულება კი ამ მხრივ სრულებით არა ზრუნავს. მისი მოხელენი უვიცნი არიან სამეურნეო საქმეში.

მაშასადამე, თუ სესხის წამლებ გლესს დარიგება არ მიეცა იმ საქმეში, რასაც იწყობს, და თვით საქმის ამორჩევაში არ ჩაეშველა მკოდნე პირი, გლესი შეიძლება თავის ანგარიშში შესცდეს და მოგების მაგივრად ყველაფერი გაეყიდოს.

ადგილობრივი სამეურნეო ორგანიზაცია და ყველა ის, რასაც ეს ორგანიზაცია მოაწყობს რაიონში საცდელად და საჩვენებლად, შეჰქმნის სწორედ იმ დახმარებას, რომელიც უნდა მიეცეს დღეს ყოველს ჩვენს თითოეულ მეურნეს.

სანაქებო დოლის პური, რომელიც საგარეჯოსა და პატარძელის მინდვრებზე მოდის, ხაშმის წითელი ღვინო, საგარეჯოს, ნინოწმინდის და სხვა სოფლების თეთრი ყურძნის წვენი, იალნოს და გომბორის საზაფხულო საძოვრები, კართოფილი, ხახვი, საზამთრო და სხ. ბოსტნეული, ვეებართელა სათიბები და ბალახის სათესი მინდვრები ივრის გაყოლება, მშვენიერი თევზი, ცივ-გომბორის მთაგრეხილის კალთებზე შეფენილი მუხისა და წიფლის ტყე ღორის გამოსაკვებად, შეშა და ნახშირი, რაც ამ ტყეში დამზადდება, საძოვარი მინდვრები და თვით მთელი ამ რაიონის ქალაქთან სიახლოვე განა ყველა ეს აუარებელ სიმდიდრეს არ შეადგენს, რომ წესიერი მათი გამოყენება დამყარდეს, ყოველ ეჭვ გარეშეა, რომ ძრიელ ბევრი რამ გაკეთდება სასარგებლო და სასიამოვნო, თუ ადგილობრივი მეურნეები გამოიღვიძებენ და შეერთებულის ძალით შეუდგებიან თავიანთ საერთო სამეურნეო საქმეს.

სათათბიროდ დანიშნულ დღეებში გამართული იქნება აგრედვე ხალხის საჩვენებლად გუთნებისა და სხვა სამეურნეო მანქანა-იარაღების გამოცდაც.

მოვალეა ყველა, ვისაც შეუძლიან, დაესწროს ამ თათბირს და თავისი სამეურნეო ცოდნა-გამოცდილება გაუზიაროს კრებას, რათა შეგროვდეს ამ გზით მასალა შემდეგში გამოსაყენებლად.

ხბოს თეთრი სიფაღარათე

თეთრი სიფაღარათე ხბოსი გადასადები სენია და იშვიათად რჩება მისგან დაავადებული ხბო. ზოგჯერ ხბო და-

ბადებიდანვე არის ამ სენით ავად. ეს სენი შეეყრება ხოლმე ხბოს, როცა იგი იბადება, მეტადრე თუ ბაკი ან

გომი, უსუფთაოა. ხოლო მომეტებულ შემთხვევაში კი ხბო ხდება ამ სენით ავად ჩვილობაში კვების დროს.

თეთრი სიფაღარათე მძვინვარებს ძალიან: 1) — როცა სახბორე თბილია და ნესტიანი, სადაც ადვილად ჩნდება ამ სენის დაშვადავი სოკო; 2) — ხბოს ხელზე გამოკვების დროს, როცა უზომოდ ბევრს აქმევენ რძეს, რომელსაც კუჭი ვერ ასწრობს მოხარშოს-მოინელოს, ან როცა სასმელი ცივია, მჟავაა, ან და როდესაც უეცრად გადაჰყავთ ხბო რძიდან სხვა საკვებაზე.

საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ თბილს სახბორეში ხბორები მუდამ დადამბლავებულნი არიან და თუ ამასთან ნესტიანიც არის სახბორე, მაშინ ხომ ხბორებისათვის თეთრი სიფაღარათე აუცილებელი სტუმარია.

გრილსა და მშრალს სახბორეში კი ხბორები ჯანსაღები და ცქვიტები იზრდებიან და კუჭიც სალი აქვთ. საუკეთესო ტემპერატურა სახბორესათვის ითვლება 8 — 10°R.

როცა ხელზე გამოსაკვებად ხბოს მოაშორებენ დედას მეორე-მესამე დღესვე და აძლევენ რძეს ჭურჭელში, ეს უკანასკნელი ყოველ ჯერზე რძის დაღვინების შემდეგ უნდა უსათუოდ კარგად გამოირეცხოს და ჰაერმა გაუაროს.

რომ ხბოს მეტი არ მიეცეს რძე, არ გაიჟიროს, ყველას ისა სჯობია კერძი ცოცხალი წონის მიხედვით ეძლეოდეს. ზომად ამ შემთხვევაში მიღებულია $\frac{1}{8}$ — $\frac{1}{5}$ ცოცხალი წონა, ხოლო აქაც არ შეიძლება ყველა ხბოს ერთნაირად მოვექცეთ: თუ ხბო ხალისით სვამს თავის კერძ რძეს და კიდევ თხოულობს, მაშინ ცოტა მეტი შეიძ-

ლება მიეცეს, მაშინ კი როდესაც ხბო ზარმაცად ეკიდება საკვებს, უხალისოდ სვამს მიცემულს რძეს, არ მოლოკავს ხოლმე ჭურჭლის ძირს სიამოვნებით, კერძი უსათუოდ უნდა შემცირდეს. სჯობია ისევ ხბოს დააკლდეს რძე, ვერ გაძღეს, ვიდრე გაიჟიროს.

რძე უნდა სვას ხბომ ნელ-ნელა და არა ერთბაშად მიიქვილოს, თორემ ეს რძე ერთბაშად აიჭრება კუჭში დიდრონ კოლტებად, კუჭი დამძიმდება, შეიკვრება და მერე გააფაღარათებს.

მთელი დღის კერძი სჯობია 4—5 ჯერად გაიყოს და ისე მიეცეს ხოლმე, ვიდრე ხბო ოთხი კვირისა გახდება. მერე კი შიში აღარა, აქვს რომ დღეში სამჯერ ვაჭამოთ.

ხბოს რძე უნდა ეძლეოდეს თბილი (25—28°R) და ტკბილი. თუ ცოტათი მაინც დამჟავდა რძე ან ცივია, დაღვეს თუ არა ხბო, მაშინვე აწყენს.

თეთრი სიფაღარათით დაავადებული ხბო ძნელადლა რჩება წამლობითაც კი. რო მორჩეს კიდევ, მაინც სუსტი, უჯანო გამოდის, ისე რომ ასეთი ხბო ისევ სჯობია დაიკლას.

ავადყოფ ხბოს მადა ეკარგება, სულ წევს, ტანში თხლად გადის მოყვითალოთ, განავალი აქვს ძალიან მყრალი.

ეს ავადყოფობა გასტანს ხოლმე 2—3 დღე და ხბო კვდება. გაჩნდება თუ არა სახბორეში თეთრი სიფაღარათე, მაშინვე უნდა ავადყოფი ხბო მოაშოროთ კარგყოფებს, ჩამორეცხოთ სადგურის კედლები კარბოლის სიმჟავით (1 გირ. კარბოლის სიმჟავე გახსენით 20 ვედრა წყალში), მოაყაროთ სადგურის იატაკს კირი და დაუბოლოთ გოგირდით (პატარა გოგირდის ნაჭერს მოუკიდებთ ცეცხლს და

კარ-ფანჯარას გამოხურავთ, რომ გოგირდის ბოლი შიგ დატრიალდეს). ორი დღის შემდეგ გააღებთ კარებს, ფანჯარებს, რომ ჰაერმა გაუაროს, შიგნით კედლებს გაათეთრებთ ხელახლად კირით და შერეკავთ ისევ ხბორებს.

წამლობა: შეამჩნევთ თუ არა ავადმყოფობას, მაშინვე უნდა ერთი სტოლის კოვზი სასაქმებელი ზეთი დააღვინოთ ხბოს. ტანში რო გახსნის, შემდეგ კუჭის შესაკვრელად დააღვინებთ მუხის ფოთლების ან გოგირის ღეროების ნახარშს.

რძის დაღვინება, რაკი სიფაღარათე შეეყარა ხბოს, მაშინვე უნდა მოიხზოს და რძის მაგიერ მიეცეს შემდეგი:

მოწვით ტაფაზედ ქვავის ფქვილი ვიდრე მკრთალი ყავის ფერისა გახდება გახსენით აღუღებულს წყალში და ნელთბილი ასვით, ვიდრე ფაღარათობა შედგება.

პატრონი რომ ფრთხილად და ყურადღებით მოექცეს ხბორებს, მაშინვე შეატყობს ხბოს, თუ ტანში შეიკრა, ე. ი. შეატყობს ნიშნებს თეთრ სიფაღარათისას და უნდა სასაქმებელი ზეთი დააღვინოს, როგორც ზემოთ ვსთქვით, და მერე კუჭის გასამაგრებლად ასვას ნახარში მუხის ფოთლებისა ან გოგირდის ღეროებისა. ავადმყოფობა გაქრება როგორც შარშანდელი თოვლი.

ვ. რუსიშვილი.

რ მ ე *)

ხსენი. ხსენი ჰქვიან იმ რძეს, რომელიც ძროხას უგროვდება ცურში ხბოს მოგების შემდეგ და ზოგჯერ ხბოს მოგებამდენაც. ხსენი მოყვითალო ფერისაა, გემოც და სუნიც სასიამოვნო აქვს, ოდნავ მომლაშოა და მუცელში სიფაღარათეს იწვევს, ამ უკანასკნელი თვისების გამო ახლად დაბადებულს ხბოს ხსენი უწმენდავს კუჭს იმ განავლისაგან, რომელიც უგროვდება ხბოს ნაწლავებში ჯერ კიდევ დედის მუცელში ყოფნის დროს.

ხსენი არ ვარგა არც სასმელად და არც ერბო—ყველის გასაკეთებლად, ვიდრე შედგენილობით არ დაუახლოვდება ნორმალურს რძეს. კარაქის გასაკეთებლად ხსენი იხმარება 7 დღის

შემდეგ, ხოლო ყველისა—12 დღეზე არა აღრე.

ხსენი (ფლეიშმანის გამოკვლევით) შეიცავს შემდეგ ნაწილებს:

1. წყალს	71,69%
2. კაზეინს	4,83 „
3. ალბუმინს	15,85 „
4. შაქარს	2,48 „
5. ცხიმს	3,37 „
6. მინერ. ნივთიერებებს	1,78 „
სულ . . 100%.	

როგორც აქედან სჩანს, ხსენში ბევრი ალბუმინია. ამის გამო იგი დუდილს ვერ იტანს და იკრება. ყველის დედა ხსენს ან არ ადებებს სრულებით ან შეადელებს მხოლოდ ოდნავ, ისიც უსწორამსწოროდ. ხსენი დასამუშავებლად არ ვარგა, მაგრამ სამაგიეროდ მშვენიერი საკვებია ხბორებისათვის: შეიცავს

*) იხ. „მოსავალი“ № 7 8.

ბევრს ალბუმინს და კაზეინს, რომელნიც ხბოსათვის ნოყიერს საკვებს შეადგენენ.

ძროხინ ცური. ძროხის ცური სიგრძეზე ერთგვარის გარსით იყოფა ორ ნაწილად. თვითეულ ნაწილს აქვს ორი ცერი ან ძუძუ. ცურის ცერებს ზემოდ არის აუზები, რომლებშიაც გროვდება რძე. თვით ცური შესდგება მრავალი პაწაწა ბუშტებისაგან, რომელნიც შეერთებულნი არიან ერთმანეთთან მოთეთრო მაგარი გარსით. გარედან ცურს გადაეკვრის ქონი დაშემდეგ კანიჭფარავს.

ცურის პაწაწა ბუშტები, რომლის უჯრედებშიაც მზადდება რძე, შეერთებულნი არიან ერთმანეთთან წვრილი მილებით, რომელნიც გზადაგზა უერთდებიან ერთმანეთს და შეადგენენ უფრო მომსხო მილებს. ამ მსხვილი მილებით რძე ჩადის ძუძუების აუზებში. ყოველი ძუძუ შეერთებულია რძის აუზთან მილით, რომელიც თავდება მრგვალი კუნთით. ამ კუნთის შემწეობით მილი იკეტება და რძეს აუზიდან არ უშვებს ცურში. ასეთივე კუნთი აქვს ყოველს ძუძუს ბოლოში, რათა ძუძუში ჩამდგარმა რძემ წვეთა არ დაიწყოს მიწაზე.

რძე როგორ მზადდება ცურში? ამ კითხვაზე მეცნიერება ჯერაც არ იძლევა გადაწყვეტილს პასუხს. ამას შესახებ მეცნიერნი იყოფიან სამ უმთავრეს ჯგუფად. პირველი ჯგუფი ამტკიცებს, ვითომ რძე იყოს ცურის ჯირკვლებში გაწმენდილი სისხლი.

ამ აზრის უსაფუძლობა მტკიცდება იმ განსხვავებით, რომელიც თანახმად გამოკვლევებისა, არსებობს რძის და სისხლის შემადგენელ ნაწილებ შორის. კაზეინი და რძისშაქარი, რომელნიც შე-

ადგენენ რძის აუცილებელს ნაწილებს, სრულებით არ მოიპოება სისხლში.

მეორე ჯგუფის წარმომადგენელი გაიძახიან, რომ რძე ცურში ჩნდება ცურის ბუშტების უჯრედების დაშლით. ასეთი უჯრედები მრავლად ჩნდებიან ცურის ბუშტებში. საზრდოს ამ უჯრედებს უზიდვენ სისხლის მილები. უჯრედს რომ დაუმთავრდება ზრდა, იბერება და სქდება. უჯრედების პროტოპლოზმო იქცევა რძედ, უჯრედის გუნდი კი ხელახლად იზრდება. ეს პროცესი მით უფრო ხშირია, რაც უფრო ხშირად სწველიან ძროხას. ამ გვარად მომზადებული რძე სქელია ფაფასავით. ჯერ, შემდეგ ერევა მას წყალი, რომელიც მოაქვთ ცურში სისხლის არტერიებს, და ჩადის რძის აუზებში რძის გამტარებელი მილებით. ამგვარად რძე გროვდება ამ აუზებში მოწვევლამდე.

მესამე ჯგუფი, რომლის უმთავრესი წარმომადგენელი, რაუბერია, ცდილობს ამ ორივე თეორიის შეერთებას და ამტკიცებს, რომ რძე ცურში მზადდება სისხლის თეთრი ბუშტებისაგან, ლეიკოციტების გადაკეთებით. თანახმად ამ აზრისა სისხლის მილები პირდაპირ კი არ უერთდებიან ცურის ბუშტებს, არამედ შედიან ლიმფის მილებში და უერთდებიან ამ ლიმფას. შემდეგ ეს ლიმფა გადადის ცურის ბუშტების ჯირკვლებში (ალვეოლებში), სადაც იშლება და გარდაკეთდება რძედ. ალვეოლებში გადაკეთებულ ლიმფის ნივთიერებას ემატება თვით ჯირკვლების უჯრედების ნაშალიც.

ასეთია მოკლედ მეცნიერების აზრი რძის დამზადების შესახებ ცურში. თუმცა ყველა ჯგუფის შეხედულება გან-

სხვადგება ერთიერთმანეთისაგან, მაგრამ ის კი ცხადია, რომ „რძის შემამადგენელი წყალი პირდაპირ სისხლიდან მოდის და ექსტრაქტიული ნივთიერებანი კი თვით ძროხის ცურში ასე თუ ისე მზადდება რომელისამე ნივთიერების გადაკეთებით“ *).

მაინც-ღა-მაინც მეურნესათვის დიდს ინტერესს არ წარმოადგენს ის პრო-

ცესი, თუ როგორ კეთდება რძე ცურში, მაგრამ იმის ცოდნა კი რომ ცურში რძის დამზადება დამოკიდებულია ძროხის საკვებზე, ძროხის ხნიანობაზე, ჯიშზე, ინდივიდუალურს თვისებებზე, წესიერ მოვლაზე, ალერსიან მოპყრობაზე, აუცილებლად საჭიროა მეურნესათვის.

ალ. კახელაძე.

ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა წლიური კრება

7 აპრილი 1913 წ.

კრება გაიხსნა თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილის თავჯდომარეობით საღამოს 8 საათზე.

თავჯდომარის წინადადებით კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა საზოგადო მოღვაწეს და პუბლიცისტს არჩილ ჯორჯაძის და საზოგადოების წევრის ეგნატე ხრამელაშვილის ხსოვნას.

თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილმა კრებას მიმართა სიტყვით, რომელშიაც აღნიშნა დღევანდელი კრების ბჭობის საგანი.

—საბჭოს მოქმედების ვეღა შარშან დასრულდა, რადგან საბჭო ერთის წლით იყო ამორჩეული. ვადის გადაცილება მოხდა იმ მიზეზით, რომ დაწყებული საქმე არ იყო დამთავრებული და საქმის შეჩერება კი არ ივარგებდა. სანამ ანგარიშის განხილვას შეუდგებოდეთ, საჭიროა ითქვას, რომ როგორც ყოველ ასეთ ორგანიზაციაში, აქაც მოიპოვება ნაკლი. თუმცა საბჭოს არც ძალი და არც ღონე არ დაუზოგავს, მაგრამ შედარებით საჭიროებასთან და

მოთხოვნილებასთან ჯერ ჩვენი სოფლისათვის თითქმის არაფერი არ არის გაკეთებული; თუმცა საბჭოს მთელი მუშაობა სოფლისკენ იყო მიმართული, მაგრამ შეძლების უქონლობამ ერთის მხრით და სპეციალურად მომზადებულ პირთა კონტიგენტის უყოლობამ საბჭოს ხელი შეუშალა და ნება არ მისცა სასოფლო სამეურნეო დასახმარებლად ფართო ორგანიზაცია შეექმნა. ახლო მომავალში კი, იმედი მაქვს, ეს ორგანიზაცია შესდგება, რისი მაჩვენებელიცაა ის სიმპატია და ყოველგვარი ხელის შეწყობა, რომლითაც საზოგადოების ყოველ დაწყებულ საქმეს ეგებება როგორც საზოგადოება ისე დაწყებულებანი და პრესაც. საძირკველი ჩაყრილია და ახალმა საბჭომ, რომელსაც აქ ამოირჩევთ, მხოლოდ უნდა განაგრძოს ამ საძირკველზე მუშაობა. ვუსურვებთ ახალ საბჭოს პირნათლად შეასრულოს ეს მოვალეობა.

მდივანი ვ. ი. რცხილაძე. ვიდრე ანგარიშის წაკითხვას აუწყებს კრებას, რომ ანგარიში იგი სქემატიურია.

*) პროფ. პეტრიაშვილი—„რძე“.



შემდეგ კითხულობს ანგარიშს 1912 წ.

ი. გ. ქუთათელაძეს მოჰყავს დამატებითი ცნობა კოოპერატიული სექციის მოქმედების შესახებ.

ე. თ. იოსელიანი. ანგარიშში აღნიშნული არ არის წევრთა სია. ეს კი საჭიროა, რადგან უამისოდ არჩევნების მოხდენა ძნელია: შემდეგ ორატორი ეხება ხაზინადრის მოვალეობის გადაცემას და ამბობს, რომ ეს შინაურულად მოუხდენიათ: ხაზინადარი უექველად დროზეა საჭირო. თუ საწევრო გადასახადი ცოტა შემოსულა, ეს იმის ბრალია, რომ აკრფა არვის შეეძლო; თუ გადასახადი არ შემოდის, საჭიროა ზომების მიღება, ამისათვის კი ხაზინადარია საჭირო. მდივანი ამბობს, რომ ვრცელ ანგარიშების დაუბეჭდაობა აიხსნება ხარჯის შემცირებით. ანგარიშები ვრცლად უნდა იბეჭდებოდეს. რაც უფრო ვრცელია მოქმედების ანგარიშები, მით უმჯობესია. მაგალითად საზოგადოებამ თავისი ინსტრუქტორი გაგზავნა წინამძღვარიანთ კარის სკოლაში, სადაც მან მესაქონლეობის შესახებ ლექციები წაიკითხა. ეს საზოგადოების პლიუსია. და ამაზე კი სიტყვაც არა სწერია. მომავალ კრიტიკოსს ერთად ერთ მასალად მხოლოდ ანგარიშები და ოქმები ექნება. საჭიროა შემდეგში მაინც ანგარიში ვრცლად იბეჭდებოდეს.

თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი. ჩვენი წესდების მერვე მუხლი თხოულობს, რომ წევრების სია დაბეჭდილი იყოს. ჩვენ დავბეჭდეთ კიდევ და მიწათმოქმედების დეპარტამენტში უკვე წარვადგინეთ. თუ კი საზოგადო კრება მოიხსურვებს, ანგარიშებშიაც მოვათავსებთ.

ს. თ. ხუნდაძე. საზოგადოებამ კახეთში მამული შეიძინა და სურს მეურნეობა მოაწყოს. ეს აზრი ძლიერ მოსაწონია. ეხლა ჯერ-ჯერობით ხალხს სამსახურს სიტყვიერად ვუწვევთ. მაგრამ პრაქტიკული მოღვაწეობა სულ სხვა საქმეა. ქართველ ხალხის მეურნეობას რომ თვალი გადაავლოთ, აუარებელ შეცდომას იპოვით. აუარებელ შრომას ეწევა მეურნე და კი ვერ ინახლავს მას. პირველადვე მუშაობის პრაქტიკულად დაწყება შეუძლებელი იყო. ეხლა შესაძლოა. საჭიროა კრებამ მომავალ ახალ საბჭოს დაავალოს, ყოველი კაპეიკი ამ მხრით დახარჯოს. ქართლში მეხილეობა განთქმულია, მაგრამ არამც თუ საზღვარ გარედ, ჩვენ ხილს რუსეთის ბაზარიც კი არ იცნობს კარგად. ჩვენს ბალებში აუარებელი სხვადასხვა ჯიშის ხილია და ერთნაირობას ჯერ ვერ შეჭვებთან. ჩვენ გადავსწყვიტეთ ქართლში მეურნეობის დაარსება. ჩვენი აგრონომი მოკლებულია ხალხზე გავლენანს, რომელიც მამულის შეძენის შემდეგ ექნება. მაშინ შეუძლიან უთხრას ხალხს: „მოდით, ნახეთ.“ მაშინ შედეგიც სხვა იქნება. მთავრობასაც ჰყავს ინსტრუქტორები, მაგრამ მათი სიტყვიერი მოქმედება ნაყოფს ვერაოდეს ვერ მოიტანს. დღეს დღეობით კახეთში მეტი ყურადღება მევენახეობას და მეღვინეობას უნდა მივაქციოთ, რომელსაც კახელი მისდევს. ახალი კულტურის შემოტანა შეუძლებლად მიმაჩნია. ახლად მიწის მოწყობას, იარაღების შეძენას და სხვა ასეთს დაწყებას მეტად დიდი თანხა ესაჭიროება. ჩვენ ვცდილობთ საქმე ნელნელა დავიწყეთ. თორემ დღესვე დაგვიკირდებოდა დიდი თანხა. საზოგადო კრებამ

უნდა რაიმე საშუალება მიეღოს და ეხლავე ბინა გაიჩინოს. შემდეგ ნელ-ნელა ყოველი დარგი მოეწყობა.

თავ. ვ. გ. მაჩაბელი. გორის მაზრა მეხილეობითაა გამოჩენილი. მეტადრე ცხინვალის მხარე. აქეთკენ ინსტრუქტორი ბ. ნახუცრიშვილია დანიშნული. იგი გამოვიწვიე რჩევისათვის, ესთხოვე შემოდგომაზე და გაზაფხულზე ჩამოსულიყო და ეჩვენებინა, როდის უნდა ხეხილს ან გასხვლა, ან ჩაყრა, ან თუ როგორის წესით. დამპირდა: დიდის სიამოვნებით გაიხლებითო, მაგრამ მაგის ჩამოსვლას კი ვერ ველირსენით. მივწერე წერილი, მაგრამ პასუხი არ მიმიღია და ბოლოს კერძოდ გავიგე, რომ საბჭოს კახეთში გაეგზავნა. ჩემს გარდა ბევრი სხვაც ელოდა, რადგან მსურველი ბევრი იყო. სამწუხაროდ ინსტრუქტორს, რომელიც გორის მაზრისათვის იყო დანიშნული, სხვაგან უკრეს თავი. როდესაც გ. ნახუცრიშვილი იქ გვკვიროდა, სადაც დანიშნული იყო, სხვაგან არ უნდა გაგეგზავნათ. საცდელი მინდვრები კარგია, მაგრამ ჯერ ჯერობით ჩვენ დარიგება გვესაქიროება.

ი. გ. ქუთათელაძე. საქმე იმაშია, რომ ჩვენთვის არ არსებობენ არც „იუდელები“ და არც „ელინები.“ ინსტრუქტორები საზოგადოებას იმიტომ აჰყავს, რომ სწორედ იქითკენ გაგზავნოს, სადაც საჭიროება მოითხოვს. მაშინ როდესაც გ. ნახუცრიშვილი დანიშნა, კახეთში ის ცეცხლი არ იყო, რომელიც შემდეგ გაჩნდა. ფილოქსერასთან საბრძოლველად სხვა არავინა გვეყვანდა და ისე ჩქარა კაცს ვერ ვიშოვიდით და მით უმეტეს ისეთს სპეციალისტს, როგორიც არის გ. ნახუცრიშვილი. თავ. მაჩაბელს რომ შეეტყობინებინა, ვილო-

ნებით რასმეს. საბჭო სწუხს, რომ ეს ასე მოხდა და მზად არის მუდამ ხელი გაუწოდოს ვისაც კი ესაჭიროება. ნახუცრიშვილი კახეთში მხოლოდ დროებით იყო გაგზავნილი.

კ. ს. კანდელაკი. ბ. იოსელიანმა საყვედური სთქვა ხაზინადარის შესახებ. აქ ცოტა გაუგებრობაა. ხაზინადრად მე არასოდეს არ ვყოფილვარ. ამ მოვალეობის ჩემზე გადმოსვლა მე მხოლოდ გუშინ გავიგე ანგარიშიდან. მე საბჭოს წევრიც არ ვიყავი, მხოლოდ საბუღალტრო წიგნებს ვაწარმოვებდი.

შემდეგ ორატორი ანგარიშზე გადადის. ანგარიში მისი აზრით ძლიერ სქემატიურად არის შედგენილი. ანგარიში ისეთია, ვითომც მოქმედობდეს საბჭო და არა მთელი საზოგადოება. მართალია, რაც კეთდებოდა ყველაფერი იბეჭდებოდა „სახალხო გაზეთში“ და სხვგან, მაგრამ გაზეთს შეიძლება ყველა წევრი არ კითხულობდეს და ანგარიშს კი ყველა წაიკითხავს, როდესაც მიუვა. ჩვენ ვიცით რომ აგრონომებმა მომავალ მოქმედების გეგმები წარმოადგინეს, გამოსთქვეს თავიანთი აზრი, ანგარიშში კი ამას ვერა ვხედავთ. საჭირო იყო აგრედვე ამის შესახებ საბჭოს აზრს გავსცნობოდით. ანგარიშში დასმულია კითხვები და პასუხი კი არა სჩანს. მაგალითად მოხსენებულა, რომ სააგენტო ფურცლები დაურიგდათ და ის კი არ არის აღნიშნული, რა შედეგი მოჰყვა; ან ლონდონში საბჭოს ბიურო აქვს და რას აკეთებს ეს ბიურო კი არ ვიცით; აგრედვე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს საწევრო გადასახდს, რადგან ჯერ ჯერობით საღსარი საზოგადოებას არა აქვს.

გ. ი. რცხილაძე. ყველა ნათქვამიდან ერთი გადასაწყვეტი კითხვა სდგება. სანამ ანგარიშის კითხვას შეიკუთვნებოდი, კრებას მოვახსენე, რომ ანგარიში ვრცლად არ დავბეჭდეთ, რადგანაც დასაბეჭდი მასალა ძლიერ ბევრი იყო და დიდი ხარჯის გაწევა მოგვიხდებოდა. აქ ნალაპარაკების მიხედვით კრებამ პრაქტიკული საკითხი უნდა გადასწყვიტოს: ვრცლად დაიბეჭდოს ანგარიში, თუ არა. ჯერ რაც ეურნალ-გაზეთებშია მოთავსებული, ისიც დიდი მასალა არის. ყველა ამ მასალის ერთად დაბეჭვდა მომავალ კრიტიკისათვის შეიძლება კარგიც იყოს, მაგრამ მგონია ჩვენი კასისთვის კი არა. მაინცა და მაინც კრებამ გადასწყვიტოს, თუ საჭირო იქნება, დავბეჭდავთ. მართალია აღუნიშნავი დამრჩა, რომ წინამძღვარიანთ-კარის შკოლაში ინსტრუქტორი გავგზავნეთ ლექციების წასაკითხავად და ბ. წინამძღვრიშვილისაგან მადლობაც მოგვივიდა. თუ მთელ მასალას დავბეჭდავთ, მაშინ წევრთა სიის დაბეჭვდის წინააღმდეგაც არავინ იქნება. რაც შეეხება ხაზინადრის არ-ყოლას და თანამდებობის ბ. კანდელაკზე გადაცემას, აქ შენიშვნაში შეცდომა არის. ბ. კანდელაკს მიენდო ანგარიშის წარმოება და არა ხაზინადრობა. არსებითად ანგარაში არაფერი არ არის გამოტოვებული.

გ. ვ. კარბელაშვილი. უფრო ვრცელი ანგარიში აუცილებელია, რადგან ეს ამყარებს მკიდრო კავშირს წევრებსა და საბჭოს შორის. გაზეთებში გაფანტული ცნობები საზოგადოების წევრებს ვერ აკმაყოფილებს. საზოგადოება ამ საქმისათვის ხარჯს არ უნდა დაერიდოს.

ი. გ. ქუთათელაძე. შეუძლებელია იმ მასალის დაბეჭვდა, რაც ერთის წლის განმავლობაში მოგროვდა. ეს მაშინ ანგარიში კი არ იქნება, არამედ შრომა. მაშინ აღარავინ არ წაიკითხავს. სხვადასხვა საზოგადოებებში ამ მიზნისათვის არის ორგანო. კავშირისათვისაც ბეჭდვით ორგანოა საჭირო. ამის შესახებ საბჭოს ცალკე მოხსენება აქვს და თუ მივიღებთ მას, მაშინ შესწორდება ეს ნაკლიც. საერთოდ კი საბჭოს იმდენა პრაქტიკული საქმე აქვს გასაკეთებელი, რომ ბატონმა მდივანმა, რომელსაც ყველა ამ საქმის შესრულება აწევს კისერზე, სწორედ საკვირველია რომ ეს მაინც დაწერა. ესეც დიდი საქმეა.

თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი. ყველა შესწორება ყურადღებაში იქნება მიღებული. ეხლა გთხოვთ მოკლედ ილაპარაკოთ ციფერების შესახებ.

თავ. ვ. გ. მაჩაბელი. კვლავ ლაპარაკობს ინტრუქტორის ქართლიდან წაყვანის შესახებ.

გ. ი. რცხილაძე. ის გულის წყრომა, რომელიც თავ. მაჩაბელმა გამოსთქვა დიდად საგულისხმო და სასიამოვნოც არის, რადგან იგი ამჟამად ამტკიცებს, რომ თუ აქამომდე არა, ეხლა მაინც საგრძნობლად სცნობს ჩვენი სოფელი იმ მოთხოვნილებას, რაც წარმატებაში შეიყვანს ჩვენს მეურნეობას. თუ ერთად ერთი ინსტრუქტორი ქართლიდან კახეთში გავგზავნეთ და ქართლი დავსტოვეთ უმისოდ, ეს იმას ამტკიცებს, რომ ჩვენ იმდენად უსახსრონი ვართ, რომ მართო ერთად - ერთი ინსტრუქტორი გვყავს. მეორე ინსტრუქტორი გვყავდა მხოლოდ მესაქონლეობისა. მეტად

სამწუხაროა, რომ ჩვენ ესეთ უსახსრობაში ვართ. შეიძლება დღევანდელი ლაპარაკი გახდეს იმის საბაზი, რომ ჩვენმა საზოგადოებამ ფეხი მოიკიდოს, წელში გასწორდეს და მომავალი ბრწყინვალე ჰქონდეს.

თავ. ლ. გ. ჯანდიერი. მე მგონია ანგარიში ძლიერ კარგია, რადგან ანგარიში მოკლე უნდა იყოს. მაგრამ ორვანო კი უეჭველად საჭიროა და მაგისათვის თანხა უნდა გამოიძებნოს. ანგარიში ეხლა უნდა დამტკიცდეს. საყურადღებოა თავ. მაჩაბლის სიტყვა, თუმცა ერთის მხრით ვერ ვეთანხმები. ინსტრუქტორი მასწავლებელია, ინსტრუქტორმა ყველას უნდა ასწავლოს, აჩვენოს. მისი მოვალეობა ის არის, რომ ხალხი გაურთნოს, რომ თვით შეეძლოს საქმის როგორც დაწყება ისე დასრულებაც. შეუძლებელია ინსტრუქტორს დავავალოთ ცალკე — კერძო ეკონომიაში მივიდეს და იმუშაოს. მსურველი ბევრი აღმოჩნდება და თუ ერთს დავეხმარეთ, მეორეს რად უნდა უთხრათ უარი. ამდენ ინსტრუქტორს კი საზოგადოება, შეეძლება რომ ჰქონდეს, ვერ იზოვის. სიტყვიერ ქადაგებას რაც შეეხება — იგი უნაყოფოა. ხალხში სიტყვიერ ქადაგებას შედეგი კარგი არ ექნება. ამიტომ უნდა მივულოცოთ საზოგადოებას, რომ ამის მიხედვით დაუწყებია მუშაობა. როდესაც ხალხს თვალთ აშკარად აჩვენებთ საქმეს, მაშინ ის ბევრს შეიძენს და შედეგად დიდი იქნება. მხოლოდ ქართველებს ერთი დიდი ნაკლი გვაქვს საერთოდ. დავიწყებთ უზარ-მაზარიდან და პატარამდე ჩამოვალთ, ბოლოს კი ცოტაც აღარა გვაქვს. რა საქმეც დაპატარავდება, მას მე საქმეთ არა ვსთვლი.

საჭიროა და უკეთესიც იქნება მცირედან დავიწყეთ და გავადიდოთ.

ე. ო. იოსელიანი. ავლევს შკოლისათვის ანგარიშში აღნიშნულია 1000 მანეთი. ხარჯის ანგარიშში კი აღნიშნულია, რომ ამ შკოლისათვის 500 მანეთი მიუციათ. მეორე ნახევარი მიეცა თუ არა?

ვ. ი. რცხილაძე. ხუთასი მანეთი მიცემულია 1911 წელს, მხოლოდ შემდეგ როდესაც 12 ათასი მანეთის მაგივრად თავად-აზნაურობიდან მარტო 8 ათასი მანეთი მივიღეთ, ყველა ხარჯების შემცირება მოგვიხდა და როგორც ყველაფერს ამასაც დააკლდა ნახევარი.

კ. კანდელაკი. ანგარიშების ფორმის შესახებ ლაპარაკობს. ბ-ნმა თავჯდომარემ სთქვა: რაც გამოითქვა ყველაფერი სრულად იქნება შეტანილი. მე მგონია სურვილი კი არა საზოგადოებების გადაწყვეტილება უნდა იყოს.

ანგარიში ერთხმად იქნა დამტკიცებული და კრება ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას შეუდგა:

მდივანმა 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვა წაიკითხა.

ხმები. ეს ხარჯი და შემოსავალი?

ვ. ი. რცხილაძე. ჩვენ აქ განვსაზღვრავთ ჩვენს ბიუჯეტის მინიმუმს და ფიქრობთ რომ თავად-აზნაურობა 17000 მანეთს მოგვცემს, დეპარტამენტი გვაძლევს 5000 მან., 2000 უკვე მოგვცა, ასე რომ ცოტალა გვრჩება საშოვნელი. თუ მხედველობაში მივიღებთ საწევრო გადასახადსაც, ამ შემოსავლის იმედიც უნდა გვქონდეს.

ხმა. რად მოხდა აგრე რომ კახეთში თესლეულობის ყიდვას მეტი მოუხდა, ვიდრე ქართლში?



ვ. ი. რცხილაძე. კახეთის აგრონომმა მოინდომა იქ საკვებ ბალახების თესლეულების ცდა და ზედმეტი ხარჯი ამით არის გამოწვეული. საჭიროა იყო ხორბლეულობის და სათესი ბალახების შერჩეული თესლი. კახეთისაკენ საკვები ბალახების თესვა ახალი საქმეა და ამიტომ საჭიროა მისი ცდა.

თავ. ვ. გ. მაჩაბელი. იმედი გვაქვს საბჭო იშუამდგომლებს რომ თავდაზნაურობამ უსათუოდ ფული იმ თანხიდან მოგვცეს, რომელიც სასოფლო სამეურნეო საჭიროებისათვის არის გადადებული.

თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი. სასოფლო-სამეურნეო თანხა დასაბრუნებელია, ჩვენ კი თავდაზნაურობა დაუბრუნებლად გვაძლევს ექსტრაორდინალურ თანხიდან.

ი. გ. ქუთათელაძე. მე მინდა საზოგადოებას ვსთხოვო აირჩიოს სამი პირისაგან შემდგარი კომისია, არა პრეზიდენტისაგან, რათა შუამდგომლობა აღძრან, რომ თავდაზნაურობამ განსაზღვრული რამ თანხა დაგვინიშნოს შემწეობად. გთხოვთ კომისიაში აირჩიოთ: თავ. ჯანდიერი, თავ. მაჩაბელი და ბ. ჟურული.

თავ. ვ. გ. მაჩაბელი. რათ უნდა მიეცეს კომისიას უპირატესობა საბჭოს წინაშე? თვით საბჭო უნდა შეეცადოს.

ბ. თ. ხუნდაძე. საზოგადოებამ კომისია უნდა აირჩიოს რათა ამ კომისიამ საზოგადო კრების სახელით აღძრას შუამდგომლობა.

გ. დ. ჟურული. წევრთა რიცხვში ჩაწერაზე სურვილს აცხადებს და შემდეგ, ამბობს, ვგონებ მართალი იყო, რომ ეს ანგარიშები ვრცლად უნდა დაბეჭდილიყო, რადგან ეს არის თქვენი

მოქმედების გამოხატველი. ხარჯთ აღრიცხვაში ერთ ნაკლს ვხედავ, რაც ალბად უსახსრობით არის გამოწვეული. მაგრამ თუ ამოდენა ჯამი საძებნელია, ბარემ ისიც მიუმატოთ. მე მინდა ვსთქვა, რომ ინსტრუქტორების რიცხვი უეჭველად გამრავლებული უნდა იქნას. გვეტყვიან მომზადებული ინსტრუქტორები არა გვყავსო. აი სწორედ ამიტომ ვხლავე უნდა დავასახელოთ პირნი, რომ ამ პრაქტიკულ მოქმედებისათვის დავამზადოთ. თუ ვხლავე არ დავამზადებთ მცოდნე პირთ, შემდეგ, ფულიც რომ გვქონდეს, გვიანდა იქნება. შეიძლება ამ სამ—ხუთ წელს მოემზადნენ და მომავალში სწორედ ისინი იქნებიან, რასაც მათგან საზოგადოება მოელის. ჩემის აზრით საჭიროა კიდევ ორის ინსტრუქტორის მოსაწვევი თანხის ჩამატება. საზოგადოების სახსარი თავდაზნაურობის თანხაა, რომელსაც განაგებს სადებუტატო საკრებულო. ამიტომ ერთი წინადადება მინდა შემოვიტანო, რომელიც ხიდს გასდებს საზოგადოებასა და დებუტატთა საკრებულოს შორის. ეს წინადადება ასეთია: საბჭოში ერთი წევრი იყოს თავდაზნაურობის წარმომადგენელი, რათა მან თვალიც და ყურიც თავდაზნაურობისა მიაპყრას ამ საზოგადოებას.

ლ. გ. ჯანდიერი. იმოდენა ქვეყანაში, როგორ საქართველოა, რომ მეურნეობამ ფეხი მოიკიდოს რიგიანად, საჭიროა თანხა. წელს თუ საზოგადოებას 2560 თუმანი სჭირია, გაისათუფრო მეტი დასჭირდება. მერე ექნება ამდენი? ამისათვის საჭიროა დღევანდელმა კრებამ მკაფიოდ გამოსთქვას ის აზრი, რომ თავდაზნაურობამ მუდმივი თანხა დანიშნოს. წელს თუ

ორიათას ხუთასი დაჰხარჯეთ, შემდეგ რომ არ გააგრძელოთ მოქმედება, ხომ დაიკარგა ეს ამოდენა თანხა? ამისათვის საჭიროა, რაც კი სასოფლო მეურნეობისათვის ფული არსებობს, ამ საზოგადოების საქმეს მოხმარდეს. მოხსენებაში უეჭველად უნდა აღნიშნონ, რომ თავად-აზნაურობამ სამუდამოდ დაუნიშნოს ამ საზოგადოებას გადაჭრილი სათადარიგო თანხა.

თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი. როგორც დებუტატთა საკრებულო ისე საადგილმამულო კომისიაც საზოგადოებას დიდის სიმპატიით ეპყრობოდა. თავ. ლ. გ. ჯანდიერის წინადადება საკამათო არ არის და ამ საკითხის შესახებ შესაფერი უშამდგომლობა იქნება აღძრული. რაც შეეხება გ. დ. ჟურულის წინადადებას, ის ეხლა მისაღები იქნება არ იყვეს, რადგან დებუტატთა საკრებულოს შუა და ჩვენი საზოგადოების შუა უკვე არის კარგი განწყობილება საადგილ-მამულო კრებისის შემწეობით.

გ. ი. რცხილაძე. მე მგონია ბ. ჟურულმა პრინციპიალური საკითხი წამოაყენა. რადგან მთელი თმნხა საზოგადოებას სათხოვნელი აქვს და ინსტრუქტორებზე დიდი მოთხოვნილებაა, ბარემ ორი ინსტრუქტორისთვის საჭირო თანხაც ჩაემატოს ხარჯთ-აღრიცხვაში. თუ ჩვენ თვითონ არ შევიტანეთ ეს ხარჯი, ეს იმიტომ რომ შიში გვქონდა: ვაი თუ ისიც არ მოგვცენ, რამდენსაც გვაძლევდნენ აქამდე, დიდი თანხა რომ დაინახონ. თუ დამსწრეთ ამის შიში არა აქვთ, მაშინ სასურველია ორი ინსტრუქტორის ჯამაგირიც შევიტანოთ. დიდი დანაკლისია მაგალითად მენხილეობისათვის ინსტრუქტორის არ

ყოლა. ჩვენ კი ეს ხარჯთ-აღრიცხვაში გათვალისწინებული არა გვაქვს. ამიტომ ჟურულის წინადადება უნდა მიიღოს კრებამ.

კრების უმეტესობამ დაადგინა რომ ხარჯთაღრიცხვა 2504 თუმანს არ აღემატებოდეს.

ე. კარბელაშვილი. ორიოდ სიტყვა უნდა მოგახსენოთ ხარჯთაღრიცხვის შესახებ და საფუძვლად ბ. ხუნდაძის სიტყვას დაუდებ. ლაპარაკი კი არა საქმიანობა საჭიროვო, სიტყვა ბ. ხუნდაძემ. აზრი საფუძვლიანია და სამართლიანი. მხოლოდ ისე გამოდის თითქოს შარშან და შარშანწინ პრაქტიკული მუშაობა არა ყოფილიყოს. რასაკვირველია მამულების შექმნა და საკუთარი მეურნეობის მოწყობა ფრიად კარგი საქმეა, მხოლოდ ჩვენი საზოგადოების მიზანია მოქმედება არსებულ მეურნეობას შეუფარდოს. რას მისდევს ეხლა ქართველი მეურნე? ქართლში—ხვნა-თესვას, მებაღეობას; კახეთში კი—მევენახეობას, მეღვინეობას. საკუთარი მეურნეობის მოწყობა ამ დარგებში იმდენ თანხასა და ძალებს მოითხოვს, რამდენსაც ჩვენი საზოგადოება ვერ შესძლებს, არა გვაქვს ამის ღონე. ქართულმა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ თავისი მოქმედება ჯერ ჯერობით ცნობების მიწოდებით უნდა განსაზღვროს. ჩვენ, ეგრე ვთქვათ, პრაქტიკულ მუშაობას ხალხისას უნდა დავებმარნეთ, ხელი შეუწყოთ გავრცელებას პრიმიტიულ ცნობებისას. რას წარმოადგენს ეს უკანასკნელი. ეგ გახლავთ გავრცელება ცნობებისა საუკეთესო თესლის, ნერგების, ხვნა-თესვის და სხვა კულტურების შესახებ.



შემდეგ ორატორი გადადის ხარჯთ-
 აღრიცხვაზე და ამბობს რომ ჟურ-
 ნალის გამოცემისათვის გადადებუ-
 ლია 250 თუმანი, მაშინ როდესაც
 პლაკატებისა და ბროშურებისათვის
 კი მხოლოდ 100 მან. ჟურნალი ვერ
 აღწევს ისეთ ადგილებში, სადაც კაცე-
 ბი აღწევენ. ამ გარემოებას დიდი ყუ-
 რადღება უნდა მიექცეს.

ვ. ე. მჭედლიშვილი. კახეთის აგრო-
 ნომიულ პუნქტზე (კერძოდ თელა-
 ვის რაიონზე და უფრო კი თელავზე,
 რადგან ეს პუნქტი მხოლოდ თელავია)
 500 თუმანი იხარჯება. ქართლის აგ-
 რონომის მოქმედების შესახებ ისედაც
 ბევრი მსმენია და გაზეთებშიაც იბეჭდე-
 ბა ხოლმე. კახეთისაში კი თვალსაჩინო
 არ არისრა. შეიძლება საბჭომ აგრო-
 ნომიული პუნქტი თავის ალაგას ვერ
 მოათავსა. ამას იმიტომ ვამბობ რომ მთე-
 ლი დიდი რაიონი, მთელი ივრის ხეო-
 ბა, სადაც სწორედ საჭიროა აგრონო-
 მიული დახმარება, უყურადღებოდ არის
 დატოვებული. აგრონომის მოქმედება
 განსაზღვრულია მხოლოდ თელავით. რომ
 მოქმედება უფრო ნაყოფიერი იყოს,
 აგრონომიული პუნქტი ივრის ხეობაში
 უნდა იყოს გადატანილი.

ხ. ხუნდაძე. უპასუხებს ბ. კარბელა-
 შვილს და მოჰყავს მაგალითი ერობა-
 თა მეურნეობიდან. შემდეგ დასკვნის,
 რომ ორი აზრის ქონა ამ საკითხის
 შესახებ შეუძლებელია. საჭიროა საზო-
 გადოებას ჰქონდეს თავისი ბალი, თავისი
 ვენახი, სარდაფი და სხვა.

თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი. ხარჯთ-
 აღრიცხვას განიხილავთ ერთიანად,
 თუ მუხლ-მუხლად? თუ მუხლ-მუხლად
 განიხილვა გსურთ, მაშინ კრება უნდა

გადაიდოს, რადგან უკვე დაგვიანებუ-
 ლია.

ბ. გულისაშვილი. ეს ხარჯთ-აღრი-
 ცავა სპეციალისტებმა განიხილეს და
 შეამოწმეს, რა საჭიროა მისი მუხლ-მუხ-
 ლად განხილვა.

მ. სარაჯიშვილი. შეუძლებელია
 ერთიანად განხილვა. თუ საბჭომ ამას
 10 საღამო მოანდომა, ჩვენ რატომ არ
 უნდა მოვანდომოთ ორი საღამო მაინც.

თავჯდომარემ ხმა ჩამოუტარა ამ სა-
 კითს და უმრავლესობამ ისურვა
 ხარჯთაღრიცხვის მუხლ-მუხლივ გან-
 ხილვა. ამიტომ კრება პარასკევს, 12 აპ-
 რილისთვის გადაიდო.

12 აპრილის კრება

კრება გახსნა საბჭოს თავჯდომარემ
 თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილმა საღამოს
 8 საათზე.

კრება შეუდგა ხარჯთაღრიცხვის
 განხილვას. მცირე კამათი გამოიწვია
 პირველ ნაწილის მესამე მუხლმა, სადაც
 აღნიშნული იყო რომ ორ აგრონომს
 საჯაროდ ეძლევა 800 მანეთი (იმ გა-
 დამეტებულ დანახარჯების გამოკლე-
 ბით, რომელიც ქართლის აგრონომმა
 1912 წელს მოახდინა).

კ. პ. კანდელაკი. განმარტებას თხო-
 ულობს.

ვ. ი. რცხილაძე. ქართლის აგრონომმა
 72 მანეთი დახარჯა გადამეტებით იმა-
 ზე, რამდენიც მას უნდა დაეხარჯა.
 ამიტომ ეს მეტი დანახარჯი საბჭომ
 გადასწყვიტა ჩაეთვალოს 1913 წლის
 ხარჯთ-აღრიცხვაში.

კ. კანდელაკი. ასეთი გადაწყვეტა-
 ლემა საქმისთვის მგონია შეუფერებელი
 იქნება. თუ აგრონომმა მეტი დახარჯა,
 მაშასადამე მას მეტიც უმუშავნია, მეტი

ენერგია და შრომა დაუხარჯავს. თუ ეს ასეა, მაშ რად უნდა დავსაჯოთ კაცი. საბჭომ განიხილა თუ არა, რომ ეს ხარჯი საჭირო იყო? თუ განიხილა, რა აზრს დაადგა?

თავ. ვ. მაჩაბელი. ეთანხმება წინა ორატორს და წინადადებას იძლევა 400 მან. უკლებლივ მიეცეს აგრონომს.

თავჯღომარი. საბჭომაც ასე დაადგინა: იშუამდგომლოს საზოგადო კრების წინაშე, რათა ქართლის აგრონომს ზედ-მეტი დანახარჯი 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვიდან არ გამოერიცხოს.

კრების უმრავლესობამ ეს წინადადება დაადასტურა.

ე. იოსელიანი. შეეხო ხარჯთაღრიცხვის პირველ ნაწილის მესამე მუხლს: ჯამაგირი ორს ახალს ინსტრუქტორს—2400 მ.:

ეს საკითხი პრაქტიკულად განიხილვას თხოულობს. მე მგონია რომ თუ ამ თანხას მივიღებთ, მაშინ კრებამ აგრონომების პრაქტიკული მოქმედების გეგმაც უნდა მოისმინოს. ეს გეგმა „სახალხო გაზეთში“ იყო დაბეჭდილი. მაგრამ ამისი განხორციელება ვერც ადვილი არ არის, ერთის ინსტრუქტორით კი სულაც შეუძლებელია. საბჭომ ეს იცის, მაგრამ საზოგადო კრებამ არ იცის. თუ ეს საკითხი პრინციპიალურად იყო მიღებული საბჭოს მიერ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საზოგადო კრებაც დაეთანხმება და მიიღებს.

თავ. ს. ვახვახიშვილი. ე. იოსელიანის სიტყვა ეხება სწორედ იმ მუხლს, სადაც წამოყენებულია კაიშაურის ველის შესახებ საკითხი. ეს საკითხი, პრინციპიალურად განვიხილეთ და მივიღეთ, პრაქტიკულად განხორციელებაზე კი ლაპარაკი ჯერ არ ყოფილა. გან-

ხორციელება დამოკიდებულია თანხაზე. გვექნება თანხა—შევასრულებთ, არა და არ შევასრულებთ. საკითხი მხოლოდ პრინციპიალურად გადაწყდა, როგორც სექციაში ისე საბჭოში.

ვ. რცხილაძე. ყველა მუხლი ასე: გვექნება ფული—გავაკეთებთ, არა და—არა.

ე. კარბელაშვილი. მე მგონია ეს ხარჯთაღრიცხვა ცოტათი ნაადრევია. ზოგიერთი ხარჯებია აქ ისეთი, რომელიც უეჭველად უნდა იყოს შესრულებული და ამიტომ მე მგონია, საჭიროა გამოირკვეს, რა არის ეხლავე საჭირო და რის გაკეთება შეიძლება გადაიდოს.

დ. ვახიძე. შეუძლებელია აქ იმაზე ლაპარაკი, რომ ფული არა გვაქვს და ყველაფერი საექვოა. ხარჯთაღრიცხვის შესახებ ისე უნდა ვიმსჯელოთ, მითომ გვაქვს შეძლება.

ვ. კარბელაშვილი. თავ. ჯანდიერმა იმ დღეს მართალი სთქვა, მეც ვეთანხმები მის ნათქვამს. ეს ფული ხელთ არა გვაქვს, მხოლოდ ნავარაუდევია და არ ვიცით, მოგვცემენ თუ არა. შარშან 12 ათასი ვთხოვეთ თავად-აზნაურობას და რვა ათასი მოგვცა. ვინ არის იმის თავდები, რომ წელს 17 ათასს მოგვცემენ? ბევრი საქმე დააწვა აგრონომებს და მე იმ აზრისა ვარ, რომ ჯერ ერთი საქმე გავაკეთოთ და კარგად ვიდრე—ასი და ცუდად.

თავ. დ. ჩოლოყაშვილი. წელს თავად-აზნაურობას ექსტრაორდინალური კაპიტალი 25 ათასამდე აქვს, მაშინ როდესაც შარშან მხოლოდ 15 ათასი ჰქონდა. თუ შარშან 15 ათასიდან 12 ათასი მოგვცეს, წელს 25 ათასიდან 17 ათასის მიღება უფრო ადვილი აქნება.

თავ. ს. ვახვახიშვილი. შარშან სხვა გარემოება იყო. თუმცა რვა ათასი მივიღეთ, მაგრამ დაგვეხარჯა სულ 6 ათასი და ორი ათასი გადაგვრჩა. წელს უნდა გადაგვრჩეს იმდენი, რომ იანვარში, თებერვალში და მარტში, სანამ საზოგადო კრება იქნება მოწვეული, ამ ფულით ვაწარმოვოთ საქმე. ჩვენი ხარჯთაღრიცხვა სწორედ ასე უნდა იყოს შედგენილი. წელს კაიშაურის ველზე სადგურს არ განვახორციელებთ. ჩვენ უნდა შევეცადოთ რომ ნახევარი წლისთვის სამოქმედო თანხა დავგვრჩეს, რათა იანვრიდან მაისამდე ვიცხოვროთ. ამიტომ შეიძლება ეს მუხლი ხარჯთაღრიცხვაში დარჩეს და თუ საკითხის პრაქტიკულად გადაწყვეტას არ შევეუდგებით, სხვა საქმეს მოვანდომებთ.

თავ. ვ. მაჩაბელი. ეთანხმება ე. კარბელაშვილს. ხარჯთაღრიცხვაში უპირველეს ყოვლისა ის ხარჯები უნდა იყოს აღნიშნული, რომელთაც ვერ ავიცდნეთ. უკეთესი იქნება ჯერ ასეთი აუცილებელი საჭიროებანი დავაკმაყოფილოთ და შემდეგ სხვანი. ხარჯთაღრიცხვაში უნდა იყოს განსაკუთრებული განყოფილება, სადაც ასეთი ხარჯები მოთავსდება, რომელნიც შეიძლება მიმდინარე წელს არ იყოს გაწეული. იმას როდი ვამბობ რომ ეს უკანასკნელიც საჭირო არ იყოს. პირიქით ყველა საჭიროა, მაგრამ ზოგიერთ ხარჯების შესახებ შეიძლება დაცდა.

ე. კარბელაშვილი. ახალ საქმეს ვიწყობთ მესაქონლეობის დარგში დახმარების გაწევით და ზოგიერთი ინსტრუქტორები კი ცუდ მდგომარეობაში გვყავს, შევიწროებულნი არიან. ახალ საქმის დაწყება, როდესაც ძველი უკვე

დაწყებული ჯერ კიდევ ცუდად მიდის—შეუძლებელია, ამიტომ წინადადება შემომამქვს: ჯერ დანარჩენი მუხლები განვიხილოთ და შემდეგ ამ საკითხს დაუბრუნდეთ.

თავ. დ. ვაჩნაძე. სანამ ხარჯთაღრიცხვის დაწვრილებით განხილვას შევეუდგებოდეთ საჭიროა სახსარზე მოლაპარაკება. უმთავრესი სახსარია—თავად-აზნაურობის დახმარება. სამწუხაროა, თუ დარწმუნებული არა ხართ რომ თავად-აზნაურობა თქვენი წინააღმდეგი არ იქნება. როცა ხარჯთ-აღრიცხვას ადგენთ, ასეთი ექვი არ უნდა გეპარებოდეთ. მე მგონია რომ ეს საზოგადოება მეტად სიმპატიური დაწესებულებაა და მეტის ყურადღების ღირსია, ვიდრე თვით საადგილ-მამულო კომისია. სამეურნეო საზოგადოება თანასწორად ემსახურება ყველას, როგორც გლეხს ისე აზნაურს და თუ კი რაიმე სამეურნეო თანხა გვაქვს ამ საზოგადოებას უნდა მოხმარდეს.

თავ. დ. ჩოლოყაშვილი. არავის ექვი არა აქვს იმაში, რომ თავად-აზნაურობა და საადგილ-მამულო კომისიაც, როგორც წინედ ისე ეხლაც გაგვიმართავენ ხელს და 17 ათასი მოგვეცემა. ეხლა საზოგადო კრებას ვსთხოვ დადასტუროს მიწების შეძენა კახეთში.*)

კრებამ ერთხმად მიიღო ტექსტი დადგენილებისა.

ვ. ი. რცხილაძე. ვშიშობ, ბევრმა ისეთი შთაბეჭდილება არ გამოიტანოს, თითქოს ხარჯთაღრიცხვა გადამეტებით იყოს შედგენილი. ჩვენ ის შევიტანეთ აქ, რაც აუცილებელ დიდ

*) ტექსტი ამ დადგენილებისა ცალკე იყო შედგენილი რუსულად.

06557

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. საბ. ტექსტ. ბ.

საქიროებას შეადგენს. წვრილმანებს სრულებით არ გამოვდგომილვართ. თუ ყველა აქ ჩამოთვლილ ხარჯებს არ მივიღებთ, მაშინ რასაკვირველია ზოგიერთ საქმეს აღარ შევასრულებთ. როგორც ყველგან ისე ჩვენც შემოსავალიც და გასავალიც ვარაუდით აღვნიშნეთ, და რომელი მუხლიც არ გამართლდება, იმას გაეწევა ანგარიში. შეიძლება ზოგიერთი მუხლი შემოსავლისა არ გავგიმართლდეს. აი მაშინ წარმოსდგება საკითხი ხარჯის შემოკლების შესახებ. მაშინ იმ საქმეს კი არ შევაყენებთ, რის გაკეთებაც დავიწყეთ, არამედ სხვას ახალს აღარ მოვკიდებთ ხელს.

თავ. ვ. მაჩაბელი. მე ერთი გარემოება მაკვირვებს: ერთი ამბობს დაგვრჩებაო, მეორე—ხარჯთაღრიცხვა აღრეა შემდგარი, თავად-აზნაურობის კრებისათვის უნდა დაგვეცადნაო. განა ეს საზოგადოება ისეთ რამეს არ ემსახურება, რზედაც მთელი საქართველოს ბედ-იღბალია დამყარებული. მეტი მოვითხოვოთ, რომ რამე მაინც მოგვეცენო—ასე საკითხის დასმა შეუძლებელია. თავად-აზნაურობას ჩვენი ხარჯთაღრიცხვა მხედველობაში უნდა ჰქონდეს. თავად-აზნაურობის ერთი უპირველესი მზრუნველობა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ამ საზოგადოებამ ფეხი მოიდგას, გაღონიერდეს და მთელ საქართველოს მეურნეობას წაუძღვეს წინ.

თავ. დ. ჩოლოყაშვილი. თავად-აზნაურობა საადგილ-მამულო ბანკის მოგებიდან, ეგრე ვსთქვათ, იანვრიდან უკვე გვაძღვეს ავანსს. ჩვენც ავანსად გვეძღვევა ის, რასაც თავად-აზნაურობა დაგვინიშნავს. ასე რომ ამ მხრივ შეფერხება არ იქნება.

ს. ხუნდაძე. ექვს გარეშეა, კამათი მე-22 მუხლმა გამოიწვია. ეს მუხლი ეხება კაიშაურის ველზე მესაქონლეობის სადგურის მოწყობას. მე საბჭოში წინააღმდეგი ვიყავი ამისა. ჩემს აზრს ეხლაც მოგახსენებთ. ტენდენცია ასეთი იყო: იქით საქიროა სადგური მოეწყოს, ჯერ ერთი იმიტომ რომ იქაურმა ხალხმა შეიგნოს კულტურა და მეორე რომ ის „ალპის“ ზონა არ წაგვივიდეს ხელიდანო. რაკი საბჭოს უმრავლესობამ დაადასტურა სადგურის მოწყობა და შეიტანა ხარჯთაღრიცხვაში, ჩვენ ეს თანხა ხარჯთაღრიცხვაში უნდა დავსტოვოთ. თუ იქ არ გამოვიყენეთ, სხვა საქმეს მოვხმარებთ. მაგალითად ძლიერ საქიროა კახეთში შეძენილ მამულების მოწყობა. ჩვენ ვამბობთ, რომ თუ თავად-აზნაურობამ სრულად არ მოგვეცა ეს თანხა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ კარებს დავკეტავთ და აღარას გავაკეთებთ. არა. კვლავაც ვიმუშავებთ, მხოლოდ ნელ-ნელა შევასრულებთ იმ საქმეს, რაც ამ თანხით უფრო ადვილად და მალე შესრულდება. მე წინადადება შემომაქვს: საზოგადო კრებამ ხარჯთაღრიცხვაში დასტოვოს ეს მუხლი 2500 მანეთის შესახებ. შეიძლება ეს ფული კახეთში მუშაობას მოხმარდეს.

თავ. ს. ვახვახიშვილი. წინად თქმული ჩემი სიტყვა ბევრმა ვერ გაიგო. ხარჯთ-აღრიცხვაში ახალია მარტო სამი მუხლი: 19, 22 და 23. აქ 23 მუხლი არაფერ შუაშია, რადგან, მთავრობისაგან 5000 მან. უექველად უნდა მივიღოთ. დარჩა 19 და 22 მუხლი. იბადება კითხვა: საქიროა თუ არა ისიც და ისიც. ამაში ექვი არ არის რომ საქიროა. არც იმას ვამბობთ ჩვენ, რომ რაც ფული



გვინდა მოტყუებით გამოვიტანოთ. სხვა ჩამოთვლილი საქმეები უკვე დაწყებულია. თუ 17 ათასს მივიღებთ, მაშინ ყველაფერს შევასრულებთ, თუ არა და კაიშაურის და ორგანოს გამოცემაზედ უარს ვიტყვი. წარმოვიდგინოთ, რომ კიდევ ასე მოხდა, მოგვცეს რასაც ვთხოვლობთ. მაინც ამ თანხას ენკენისთვეზე აღრე ვერ მივიღებთ, მანამდე ვერც კი მოესწრება დადგენილების დამტკიცება და არც ჩვენი მიზნის განხორციელება შეგვეძლება ამ დარგში. მაშასადამე ეს ფული გვრჩება, გადადის შემდეგი წლისათვის. აი სწორედ ამ ფულით, რომელიც უკვე ხელში გვექნება, ვაწარმოებთ ორგანოს და „კაიშაურის“ სადგურსაც, თუ დავაარსებთ.

თავ. 3. ვაჩნაძე. ჩემის აზრით საქირო იყო ჯერ ჯერობით იმის შესახებ გველაპარაკნა, რა მიზანს უნდა ემსახურებოდეს საზოგადოება. ჩვენში სამი დარგია უმთავრესი: ხვნათესვა, მევენახეობა და მეხილეობა. ხეხილი არ გვექნება თუ მეხილეობის ინსტრუქტორი არ გვეყოლება.

თავ. დ. ჩოლოყაშვილი. ტყუილად დაუკავშირა ბატონმა იოსელიანმა მე 7 მუხლი 22-ს. ეს ორი მუხლი განცალკევებულია და ორივეს ცალკე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ. ინსტრუქტორები სულ ერთია გვესაქიროებიან.

ი. რამიშვილი. კახეთში ცოტა რომ მოაკლდეს და კაიშაურში საქმე გაკეთდეს ამას დიდი მნიშვნელობა ექნება. რა საქიროა ცენტრალურ ადგილას სადგურებისა და საცდელი მინდვრების გაკეთება. აქ ისედაც იცნობენ კულტურას, მოქმედება ხალხში უნდა გადაიტანოთ, იქ უნდა შეიტანოთ შეგნება. შარშან,

როდესაც ამის შესახებ ვლაპარაკობდით, დიდის აღტაცებით მივეგებეთ ამ აზრს, რადგან მაშინ სარფთხეს ველოდით და გადასწყდა კიდევ საკითხი. ეხლაც ჩემას აზრით საქიროა ეს მუხლი დარჩეს.

ე. იოსელიანი. კაიშაურის ველს მე იმიტომ შევეხე, რომ საზოგადო კრებამ გამოსთქვას თავისი აზრი. არავითარი ეჭვი არ არის იმაში, რომ ეს საქმე წელს არ განხორციინდებდა. თუ იტყვიან, რომ იურიდიული მხარე გამოკვლეულია, მაშინ, რასაკვირველია, ამ მუხლის დატოვებაც შეიძლება.

კრების უმრავლესობამ კამათის მოსპობა მოისურვა და გადავიდა ხარჯთაღრიცხვის მუხლ-მუხლად განხილვაზე. მეშვიდე მუხლში აღნიშნული იყო: ჯამაგირი ორს ინსტრუქტორს 2400 მან. კრებამ ეს მუხლი ასე გაყო: 1) ჯამაგირი ორს ინსტრუქტორს, 1800 მ.—2) საგზაო მათვე—600 მან.

თავ. ვ. ვაჩნაძე. თესლეულობა უფასოდ ურიგდებათ?

ვ. რცხილაძე. დიახ. წელს კახეთის აგრონომმა გამოიწერა საცდელად საკვებ ბალახების თესლეულობა, რადგან კახეთში ბალახების თესვა ჯერ არ არის შემოღებული.

თავ. ვ. ვაჩნაძე. აგრონომები წარმოადგენენ ხოლმე თუ არა საბჭოში თავიანთ მოქმედების ანგარიშს?

ვ. რცხილაძე. რასაკვირველია, საქმეებში გვაქვს ეს ანგარიშები.

1 და მე 19 მუხლმა ორგანოს გამოცემის შესახებ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია.

ლ. დიასამიძე. ჯერ ყურნალი ნააღრევი: თეორიული მსჯელობა იმდენ საქმეს ვერ გააკეთებს, რასაც პრაქტი-

კული მუშაობა. 2500 მანეთის გაღება ეხლანდელ მდგომარეობაში ძლიერ დიდი საქმეა, მაშინ როდესაც ჩვენ ვიცით რომ ეს ორგანო მხოლოდ ქალაქში იქნება გავრცელებული და სოფლად კი არა. ორატორის აზრით გაცილებით მეტი მნიშვნელობა პლაკატებს და ბროშურებს აქვთ.

ე. კარბელაშვილი. როდესაც ჯერ ახლად იწყობა აგრონომიული მუშაობა ჟურნალს ისეთი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც პლაკატებს. ბევრი საკითხია სოფლის მეურნეობაში: ჰირი მესაქონლეობაში, რაიმე სწეულება მხილვებაში და სხვა. ამათ შესახებ კარგად დასურათებული პლაკატები უნდა გამოიცეს, რომელნიც ხახლხში უფასოდ დარიგდება, ყველა საზოგადო დაწესებულებაში გაიკვრება და დიდი მნიშვნელობა ექნება. ხალხი მას ყურადღებას მიაქცევს.

ეხლა ჟურნალი „მოსავალი“ ხელის მომწერლებს კერძო პირისაგან მოსდით. როდესაც ჟურნალი საზოგადოების ორგანოდ გახდება, მაშინ ხელის მომწერლები გაცილებით მეტს მოსთხოვენ. ვიმეორებ უფრო საჭიროდ მიმაჩნია პლაკატები და ბროშურები, ვიდრე ჟურნალი. მაგალითად კოოპერატიული მოძრაობა ჩვენში ძლიერ ვრცელდება და ჩვენ ქართულ ენაზე ერთი ბროშურაც კი არ გამოგვიცია. ჩვენ რომ ასეთი „დარიგებანი“ გვქონოდა, ეს მოძრაობა უფრო კარგად მოიკიდებდა ფეხს. ამიტომ ჯერჯერობით ჟურნალი უარვეყოთ და ამ თანხის ნაწილი პლაკატებისა და ბროშურების გამოცემას მოვანდომოთ, ნაწილი კი საკოოპერაციო კომისიის გადაეცეს, რომელიც განახორციელებს გეგმას.

თავ. ვ. ვაჩნაძე. ქართულ ენაზე გამოდის ჟურნალი „მოსავალი“. როგორ მიდის ამ ჟურნალის საქმე, ან კითხულობს მას უბრალო ხალხი თუ არა? აი რა საკითხია საინტერესო. მე არ შემძლიან არ დავეთანხმო კარბელაშვილს. ის ინტელიგენცია, რომელიც ჟურნალს კითხულობს სხვა წყაროებსაც მიმართავს ფრანგულ, გერმანულ და სხვა ენებზე. ხალხში კი პოპულიარული ბროშურები უნდა გავფანტოთ, მხოლოდ „ბაზრული“ გამოცემით კი არა, არამედ მეცნიერულად დასაბუთებული. ამ ბროშურებში უნდა ნაჩვენები იყოს საჭირო ცნობები. მხოლოდ მე ამ აზრს თუ ვამბობ იმიტომ კი არა, რომ „მოსავლის“ წინააღმდეგი ვიყვე. ეს ჟურნალიც საჭიროა ჩემის აზრით. მხოლოდ პლაკატებსა და ბროშურებსაც დიდი ყურადღება უნდა მიექცეს.

თ. დ. ჩოლოყაშვილი. საბჭოში ამის სურვილი ხშირად გამოთქმულა, რომ ბროშურები გამოგვეცა. მე ელიზბარ კარბელაშვილის იმედი მქონდა, მაგრამ სამწუხაროდ ჯერ არა წარმოუდგენია. რა გამოსაცემად, რადგან ალბად ბევრი საქმე ჰქონდა გასაკეთებელი. შემდეგში კი იმედი მაქვს ესეც გაკეთდება. რაც შეეხება ჟურნალს, შემცდარი აზრია ვითომც იგი მხოლოდ ინტელიგენციისათვის იყოს. ჩვენ ჟურნალი მხოლოდ ხალხისათვის გვჭირია. მხოლოდ ჟურნალის საქმე ისე უნდა იყოს დაყენებული, რომ დაინტერესდეს მით საერთოდ გლეხობა.

ე. იოსელიანი. აქ ორი შეხედულება აურიეს ერთმანეთში. ჟურნალი უექველად საჭიროა; ჟურნალმა საზოგადოებას უნდა გაუწიოს სამსა-

ხური; მან უნდა შეაერთოს საბჭო საზოგადოების დაქსაქსულ წევრებთან. მათ შორის განუწყვეტელი დამოკიდებულება უნდა დაამყაროს. საბჭოს მოქმედება ყველასთვის თვალნათლივი უნდა იქნას. ინტელიგენტური სოფლის მეურნეთა წრე სხვა გზით ვერ მიიღებს იმდენს და ისეთს ცნობებს მიმდინარე საკითხების შესახებ, როგორც სასოფლო-სამეურნეო ჟურნალიდან. შეიძლება სთქვან: ეს იმაზეა დამოკიდებული, ვის ხელში იქნება ჟურნალი. ეგ სხვაა. მაგრამ თუ იმას ვაღვიარებთ, რომ მომზადებული ძალები და ხალხი არა გვყავს, მაშინ ყველაფერს თავი უნდა დავანებოთ, რადგან არაფერი არ ვაკეთდება.

კ. კანდელაკი. ხარჯთაღრიცხვა იმდენად პრობლემატიურია, რომ შეიძლება ზოგიერთი მუხლის გამორიცხვა. მაგრამ თუ მთელ ხარჯთაღრიცხვას მივიღებთ, მაშინ ეს მუხლიც უნდა მივიღოთ, რადგან ჟურნალი ძლიერ საჭიროა. აქ ბროშურებზე ლაპარაკობდნენ; მაშასადამე ლიტერატურა არ ყოფილა და უნდა შევქმნათ. ამისათვის კი საჭიროა მკოდნე პირთა კოლლექცია, რომელიც ჟურნალთან იქნება.

რ. გაბაშვილი. ჟურნალის გამოცემა კარგია, მაგრამ სახსარი არ გვაქვს. არც ერთი საქმე ისე არ არის დაყენებული რომ თვალსაჩინო იყოს და ეხლა ახალს ვეწვეით. რაც შეეხება ჟურნალის სოფლად გავრცელებას, ვერ დაასახელებთ ისეთ გლესს, რომელიც ამ ჟურნალს წაიკითხავს. აქ ასეთი აზრი იყო გამოთქმული, რომ ბროშურის შედგენა უფრო ძნელია, ვიდრე ჟურნალისაო. მაგრამ ასეთი არგუმენტი არგუმენტად არ ჩაითვლება.

რაც შეეხება იმას, რომ წევრებსა და საბჭოს შორის ურთიერთობა იყოს დამყარებული, ეს უკვე არსებობს. მაგალითად, „სახალხო გაზეთი“ გავრცელებულიც არის და ყოველ დღიურიც. როგორც აქამდის იბეჭდებოდა იქ ყველაფერი ჩვენი საზოგადოების შესახებ ისე შემდეგშიაც დაიბეჭდება. 200 წევრის გულისათვის კი რად უნდა დაიხარჯოს 1500 მანეთი. უკეთესი იქნება ჟურნალის გამოცემის საკითხი სულაც გადაიდოს და ეს თანხა სხვა საქმეს მოხმარდეს.

თავ. დ. ჩოლოყაშვილი. ჩვენი ორგანიზაცია ორასი წევრისათვის კი არ არის, არამედ მთელი გუბერნიისათვის. მგონია მომავალში სწორედ მთელი გუბერნია უნდა გახდეს ჩვენი საზოგადოების წევრებად. მე ქართლის სოფელს ისე კარგად არ ვიცნობ როგორც კახეთისას. უნდა აღვნიშნო, რომ კახეთში გლახობის შეგნება იმდენად გაიზარდა, რომ პერიოდული გამოცემების კითხვა ძლიერ გავრცელდა. თუ „მოსავალს“ ცოტა ტირაჟი აქვს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცოტა მკითხველი ჰყავს.

თავ. დ. ვაჩნაძე. ჟურნალის არსებობა უეჭველია გამოწვეულია ჩვენი სამეურნეო ცხოვრების არეულ-დარეულობით. ეს ცხოვრება სისტემაში უნდა მოვიყვანოთ. სამეურნეო ჟურნალის დაარსება ჩვენში აუცილებელია, მაგრამ როდესაც ვლაპარაკობთ, პრაქტიკულ მხარესაც უნდა მივაქციოთ ყურადღება. აქამდის ჟურნალი „მოსავალი“ არსებობდა, კარგი იყო თუ არა, ამის თქმა შეუძლებელია, მეურნეებზე კი საზოგადოდ კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა. პრაქტიკულად ამ წელიწადს

ასე შეგვიძლიან გადავწყვიტოთ: რად-
განაც სამეურნეო ჟურნალის გამოცემა
საჭიროა და უკვე კიდევაც არსებობს
„მოსავალი“, რომელიც თუ ჩვენ არ
დავეხმარეთ— დაიხურება, მიეცეს ჟურ-
ნალს დახმარება 500 მანეთით. ნაწი-
ლი კი გადაიდება ბროშურებისა და
პლაკატების გამოცემისათვის. „მოსა-
ვალს“ იმდენი სამსახური მიუძღვის,
რომ დახმარება უეჭველად უნდა მივ-
ცეთ.

თავ. ს. ვახვანიშვილი. ჩვენ მაგის
შესახებ ეხლა ვერას გადავწყვეტთ.
უკეთესია ამ საკითხის გამორკვევა გა-
დავდოთ. შემდეგ მოვიწვევთ საგანგე-
ბო კრებას და იქ წარმოვადგენთ მოხ-
სენებას.

ლ. დიასამიძე. საქმე იმაში კი არ
არის, საჭიროა თუ არა ჟურნალი. მა-
გაში არავის ექვი არა აქვს, რომ საჭი-
როა, მხოლოდ პრაქტიკული მოღვა-
წეობა არ დაგიწყვიათ ჯერ და ამიტომ
პლაკატები და ბროშურები უოფრო
საჭიროა.

თავ. ვ. ვაჩნაძე. ამ მუხლს დიდ
მნიშვნელობას ვაძლევ. მხოლოდ ფუ-
ლი ბროშურებსა და პლაკატებს უნდა
მოხმარდეს. რაც შეეხება „მოსავალს“
მე მის წინააღმდეგი არა ვარ, მხოლოდ
თითონ საბჭომ იქონიოს სმჯელობა,
დღევანდელი ლაპარაკი კი ყურადღება-
ში მიიღოს. ჩვენ გადავდოთ 100 თუ-
მანი, რომ საბჭომ თავის მიხედვით მოა-
ხმაროს, რასაც უნდა.

ი. რამიშვილი. მეოცე საუკუნეში
იმ საზოგადოებას, რომელსაც 200 წევ-
რი ჰყავს, ჟურნალი უეჭველად ესაჭი-
როება.

შ. ამირაჯიბი. ჟურნალი საჭიროა.
შეუძლებელია ისეთ სერიოზულ საზო-

გადოებას, როგორც ჩვენსას, თავისი
ბეჭდვითი ორგანო არა ჰქონდეს. ამ-
ბობთ ჯერ-ჯერობით არ არის მოთ-
ხოვნილება. „მოსავალს“, როგორც
ვიციტ საკმარისი ხელის მომწერი ჰყავს.
მაშასადამე მოთხოვნილება ყოფილა.
თუ კი ეხლა სჭირია ხალხს ჟურნალი,
განა შემდეგ უფრო მეტი საჭიროება და
მოთხოვნილება არ იქნება? მიზანი
ბეჭდვითი ორგანოსი იგივე იქნება.
ჟურნალი მკიდრო კავშირს დაბადავს
საზოგადოებასა და საერთოდ სოფლის
მეურნეთა შორის. ამბობენ პრინციპია-
ლურად მოვიწონოთო. თუ კი პრინცი-
პიულურად მოვიწონებთ, მაშ ეს მუქლი
რად არ უნდა მივიღოთ.

თავ. ვ. მაჩაბელი. წინადადება შე-
მოაქვს ჟურნალი „მოსავალი“ საზოგა-
დოებაზე გადავიდეს. შეთანხმება მოხ-
დეს გამომცემელთან და ეს მუხლი კი
რასაკვირველია ხარჯთაღრიცხვაში
დარჩეს.

კრებამ დაადგინა ეს მუხლი ხარჯთ-
აღრიცხვაში დასტოვოს მხოლოდ სა-
კითხის დეტალური განხილვა დავეა-
ლოს ახალ საბჭოს, რათა საგანგებო
კრებას წარუდგინოს დასაბუთებული
მოხსენება.

პლაკატებისა და ბროშურების და-
ბეჭდვაზე 100 მანეთის მაგიერ კრებამ
ისურვა 500 მანეთი გადაიდოს.

21 მუხლი უკამათოდ იქმნა მიღე-
ბული. შემდეგ ამისა კრება გადავიდა
22 მუხლის განხილვაზე კაიშაურის ვე-
ლის შესახებ.

ს. ყაზახაშვილი. თელავის თათბი-
რის დროს გადაწყდა, რომ შეგვეძინა
მამული და მუშაობა მოგვეწყო ხუთ
ტიპიურ ადგილში. როდესაც გადაწყვე-
ტილების განხორციელებას შეუდექით,

დავადგინეთ რომ ამით არ შეგვეზღუდა მოქმედება, არამედ სხვაც რაიმე გაგვეკეთებინა. ამ მიზნით შევიძინეთ მამული იყალთოში და მუკუხანში; შევეუკვეთეთ უკვე დასარგავი მასალა კონდოლის სანერგეს. გარდა ამისა ჩვენი მეორე ძირითადი მიზანი იყო ამერიკულ ვაზების ცდასთან ერთად, გაგვემართა სამრეწველო მეურნეობა, რომელიც შემოსავალს გაადიდებდა. ხარჯთაღრიცხვაში შეტანილი 5000 მანეთი არ ეყოფა ამ მიზანს.

ვ. ი. რცხილაძე. ჩვენ 12 დეს. მიწა ერთგან ვიყიდეთ, 20 სხვაგან იმიტომ კი არა, რომ ყოველი გოჯი ადგილი ეხლავე შევიმუშაოთ, არამედ ნელ-ნელა შეძლებისადაგვარად, რადგან ერთბაშად გასაკეთებლად ვცოდით რომ საკმაო თანხა არ გვექნება.

ს. ყაზახაშვილი. აი სწორედ ამიტომ კაიშაურის ველს ნუ მოვახმარებთ 2000 მანეთს და აქ გადავიტანოთ.

ვ. ი. რცხილაძე. თქვენ არა ხართ საქმეში ჩახედულნი, თორემ ამას არ იტყოდით. ჩემის აზრით ამ მუხლიდან კაპიკის გამოკლებაც არ შეიძლება. მთელი საქართველოს ნახევარი საქონლით სცხოვრობს, დახმარება ესაქიროება ამ დარგს სხვებზე არა ნაკლებ და უნდა მივეშველნეთ.

ს. ხუნდაძე. დღეს ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ჩვენი დაწყებული საქმე კარგად წავიყვანოთ. ჩემის აზრით საზოგადოების თანხიდან არც ერთ კაპიკს არ გადავდებდი იმ საქმისათვის, რასაც ბ. რცხილაძე ამბობს. მე რომ მქონდეს შეძლება, პირადად მივცემდი, მხოლოდ იმიტომ, რომ დაემნახებინა, რომ ეს ფული დაკარგულია. ბინა არა გვაქვს და სად

გინდათ აღზარდოთ მომავალი მომუშავე სპეციალისტები. საჭიროა ბინა გავიჩინოთ, რამე ავაშენოთ და იქვე აღზარდოთ მოხელენი. ეს საქმე ჩვენ უეჭველად უნდა მოვაწყოთ და უკანასკნელი კაპიკი შეუერთოთ იმ 500 თუმანს, რომელიც მთავრობამ ამ მიზნისათვის მოგვცა. უნდა დავიწყოთ საქმე ღროზე, თორემ დავვიანდება.

ვ. ი. რცხილაძე. მეორედ მესმის — ბინა უნდა გვექონდეს, ბინა უნდა გავიჩინოთ. მარტო ეხლა გავიგე, რომ ეს თქმა სახლების აგებას ჰგულისხმობს. მამული ჩვენი იქნება, თუ იჯარით აღებული, იქ საქმე უნდა გავაჩალოთ მთელ რაიონზე ზედმოქმედებისთვის. ბინის წინააღმდეგი არც მე ვარ. მხოლოდ ვიტყვი რომ საჭიროა ეს ბინა ყველე დარგში. გვინდა ბინა კახეთში — მევენახეობისათვის; თუ მესაქონლეობას მოგვიადებთ ხელს, იქაც ბინა საჭირო. ვინ იქნება იმის წინააღმდეგი, რომ სამ სართულიანი სახლები გვექონდეს, ყველგან კი სადაც ბინას დავდებთ, მაგრამ „როგორც გიჭირდეს ისე გიღირდესო“, ჯერ წინური გავაკეთოთ, მერე ფიცრული და ბოლოს კი ქვიტკირი ავაგოთ. ეხლა კი რომ ჩვენ მხოლოდ ერთ დარგს მივაქციოთ ყურადღება, ეს ცალმხრივი მოქმედება იქნება შემცდარი. ამიტომ იმ მუხლს, რომელსაც აქ ხედავთ მესაქონლეობის შესახებ, თავისი რეზონი აქვს ისე, როგორც სხვა მუხლებს.

თავ. დ. ჩოლოყაშვილი. ამ მუხლის შესახებ პრინციპიალურად წინააღმდეგი არვინ არის. პრინციპიალურად მივიღოთ, ხოლო პრაქტიკულად განხორციელება კი შეიძლება გადაიღოს.

თავ. ვ. ვაჩნაძე. როდესაც ოჯახში მძიმე ავადმყოფია, რომელზედაც მთელი ოჯახის ბედობაა დამოკიდებული ამ ავადმყოფს უნდა მივეშველნეთ. მთელი კახეთი ფილოქსერიტ არის მოდებული და ჯერ ჯერობით არც მესაქონლეობას, არც ხვნა-თესვას არ ელის ისეთი შიში, როგორც მევენახეობას. თუ ჩვენ დავიწყებთ ამ მხრივ მუშაობას, მთავრობაც დაგვეხმარება. ჯერ ჯერობით მთავრობა, როგორც ვხედავთ ძუნწობს. რა არის 2 ათასი მანეთი ასეთ საქმისათვის? მე მგონია რომ ეხლა ყველაზე საშიშარი ავადმყოფობა ფილოქსერია. გორის მაზრაში აგერ 15 წელიწადია, რაც ფილოქსერია. დღითი დღე ხელიდან აუარებელი სიმდიდრე გვეცლება. საქირთა ხალხს წესიერი ხელმძღვანელობა მიეცეთ.

ს. ყაზახაშვილი. როგორცა სჩანს საბჭოს ხარჯთაღრიცხვის შესახებ ამ მხრით გარკვეული აზრი არა ჰქონია. ამიტომ საქირთა საკითხი შემდეგ კრებისათვის გადაიდოს.

ი. რამიშვილი. ეხლა გადავდებთ, მაგრამ მეორე კრებაზე კიდევ ორი ახალი წევრი მოვა და ახლა ისინი

მოითხოვენ გადადებას. სადამდე უნდა გავაგრძელოთ კრება.

ს. ხუნდაძე. საჭიროდ არ მიმაჩნია კრების გადადება, საკითხი გამორკვეულია. ეს 2500 მანეთი ნაყიდ მამულის მოწყობას უნდა მოხმარდეს.

კრებამ ორი ხმის წინააღმდეგ დაადგინა ეს 2500 მანეთი 1913 წლის ხარჯთაღრიცხვაში შეუერთდეს 23 მუხლს. საკითხი კაიშაურის ტყურნალის შესახებ კი წარედგინოს მომავალ საგანგებო კრებას.

დანარჩენი მუხლები კრებამ უკმათოდ მიიღო და არჩევნებს შეუდგა. საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი; ამხანაგად. ს. რ. ვახვახიშვილ. წევრებად არჩეულ იქნენ: ვ. ი. რცხილაძე ე. იოსელიანი, ს. ხუნდაძე, ი. ვაწაძე, პ. მელია, დ. ვაჩნაძე, ლ. დიასამიძე, გ. ქურდიანი, ს. ყაზახაშვილი და ი. ქუთათელაძე. კანდიდატებად: ვ. მჭედლიშვილი, კ. კანდელაკი და თავ. მ. მალალაშვილი. სარევიზიო კომისიის წევრებად: თავ. ლ. ჯანდიერი, თ. ვას. მაჩაბელი, თავ. ვ. დ. ვაჩნაძე, გ. დ. ჟურული და მ. პ. სარაჯიშვილი.

კრება დასრულდა ღამის 2 საათზე

საკულისხმო მოხსენება *)

მიწის და წყლის შესახებ საკითხები ახალშენთათვის.

თურქისტანის ჩრდილოეთ ნაწილშია კი, საბამზე რაიონს რომ გამოვცდებით, სადაც მომთაბარენი არიან, ახალშენებისთვის მეტი სიმწვავე უფრო წყლის შესახებ საკითხებს აქვთ, ვინემ

მიწის შესახებ. უნდა ასე ვიფიქროთ რომ მთელი მომავალი თურქისტანის რუსებით დასახლების საქმეში ამ სარწყავ წყალთან არის შეკავშირებული.

წინააღმდეგი იქნება 1910 წლის კანონისა და უბრალო სამართლიანობისა, რომ ყირგიზების სარწყავი მიწები საზოგადოდ, გარდა კერძო შემთხვევებისა, საახალშენო მიწების ყო-

*) იხილეთ „მოსავალი“ № 7 და 8.

რღნებში მოვაყოლოთ. სხვაფრივი გარდაწყვეტა ამ საკითხისა არ შეიძლება შეწყნარებულ იქმნეს რუსეთის მთავრობისაგან, რომელიც არასდროს და არსად არ აფუძნებს რუსთა კეთილდღეობას დაპყრობილ ერთა გალატაკებაზე. მარტო მიწების ჩამორთმევა ყირგიზელებისაგან კიდე არა ჰქმნის იმ ფონდს, რომელსაც რუსების აქ დასახლება თხოულობს; ამ მიწებისთვის სარწყავი წყალიც არის საჭირო.

ჯერ უნდა, რასაკვირველია, მიწების შესახებ საკითხი გარდაწყვეტილიყო. ეხლა უკვე დაყორღნილებია მიწები საახალშენოდ იმ რაიონებში, სადაც ბინადარნი სცხოვრობენ. მომთაბარეთა რაიონებში კიდე 1910 წლის კანონის ძალით ხდება სახელმწიფო მიწების გამოყოფა კერძო მიწებისაგან და ცალკე დაყორღვნა. მაგრამ ყველა ეს მხოლოდ მცირედი ნაწილია იმისა, რაც უნდა გაკეთდეს.

საჭიროა ამ მიწების შესახებ ეხლა თადარიგის დაქერა; აქედან უნდა გამოცალკევდეს რაც უმოსავლო მიწებათ ჩაითვლება და დანარჩენი დაიყოს სამს ხარისხად: 1) მიწები, რომლებიც შეიძლება მოიწყას, 2) ბაგარო მიწები, სადაც ურწყავადაც შეიძლება ხვნა-თესვა, და 3) საძოვრები, სადაც მხოლოდ საქონელი მოტრიალდება.

მიწები, რომელნიც შეიძლება მოიწყას.

საახალშენოდ ყველაზე მეტად ძვირფასი ის მიწებია, რომლებიც სარწყავებათ შეიძლება იქცნენ. უნდა ვიცოდეთ რომ ეს მიწები, ვიდრე სარწყავებათ არ გახდებიან მკვდარ თანხას წარმოადგენენ. მიუხედავად ამისა მათ

გამოყოფას ადგილობრივ მცხოვრებთა საკუთარ მიწებიდან დიდი მნიშვნელობა აქვს. მიწების გამოურკვეველობისა გამო, როდესაც არ იცი, რომელია სახელმწიფო, რომელი კერძო, ძან ძნელია სარწყავ წყლის გამოყენას შევეუდგეთ. შეუძლებელი იყო დაგვეხარჯა მილიონები, თუ წინადავე არ გვეცოდინებოდა რომ სარწყავი მიწები სახელმწიფო იქნებიან და ხაზინა არ დაკარგავს ყველა ავებულ შენობებს, როგორც ეს უჩ-ყორღანის უდაბნოში მოხდა. აი ეხლა, მთავარი სარწყავ არხის გაყვანის დროს მდინარე სირდარის „ტუგაებზე“ დამშეულ უდაბნოში, სახელმწიფო შეეხება ადგილობრივ მკვიდრთაგან მიწების გამოსყიდვის საჭიროებას. იძულებულნი გავხდით სოფელ ბეგოვათიდან შეგვესყიდა სარწყავ არხის გასატარებლად ის მიწები, რომელიც ამას წინად სახელმწიფოვე მისცა ამ სოფელს. ასეთ შემთხვევებს ადგილი აღარ უნდა ჰქონდეთ მომავალში. ის მიწები, რომლებიც სარწყავებათ შეიძლება გარდაიქცნენ, უმთავრესი ღირსებისანი არიან, მაგრამ ამავე დროს უმცირეს ნაწილს შეადგენენ იმ ფონდისას, რომელიც დასჭირდებათ ახალშენელებს.

რადენობით ყველაზე მეტი, ხოლო ყველაზე ნაკლებად გამოსაყენებელი საახალშენოდ საძოვარი მიწებია, რომელნიც უნდა საიჯარო მიწებათ გარდაიქცნენ მეცხვარეებზე გასაცემათ იჯარით.

საშუალო ადგილი უჭირავთ ბაგარო მიწებს, რომელნიც ყველაზე მეტად არიან საღაო და გამოურკვეველნი.

თვით ადგილობრივი მცხოვრებნი ამ მიწებს სხვადასხვანაირად აფასებენ.

ზოგნი ამბობენ რომ მთელი სამხრეთი და აღმოსავლეთ-სამხრეთ რუსეთი მეურნეობენ ამისთანავე ურწყავ მიწებზე, სადაც გოლვაც ხშირად იცის და შიგ-ქრცლად იღებენ მოსავალს; გადმოსახლებულთ აქედან რუსებს სარწყავი მინდვრების მოხმარება უფრო გაუძნელდებათ, ვიდრე მუშაობა ესეთ ურწყავ მიწებზე, რომელსაც ხნავენ და სთესენ წვიმის მოლოდინში. ნიადაგების გამოკვლევი ექსპედიციები უფრო ამართლებენ ასეთ იმედებს. სხვანი კი ამბობენ—და მათი შეხედულება არის გატარებული თვით კანონშიაც, — რომ გადმოსახლებულ რუსების მეურნეობის დამყარება ისეთ მოსავალზე, რომელიც ზოგჯერ სრულებით ამოიწვება ხოლმე, ყოვლად შეუძლებელიაო.

ამ ორ დიდი ხნის დავის შერიგება არც როგორ არ შეიძლება, რადგანაც არ არის ამისათვის საკმარისი მასალა გამოცდით მიღებული. ურწყავ მიწებზე მეურნეობას ჯერ საიმისოდ არ დაჰკვირვებიან ჩვენი საცდელი მინდვრებიც, რომელთა ყურადღება აქნობამდე ზამბის თესვა-მოყვანაზე იყო მიპყრობილი უმთავრესად. ზოგ ურწყავ ადგილებში, მთის კალთებზე, სადაც ზამთარში თოვლს ბლომად დასდებს ხოლმე და საკმაო სინესტე ეძლევა ნიადაგს, მარტო ბაგარო მიწებზე ახალშენთ იმედების დამყარება შეიძლება საფუძვლიანიც იყოს.

გამოცდილება თავისნებრთ გადმოსახლებულებისა, რომელნიც კანონის წინააღმდეგ იჯარით იღებდნენ მიწებს ყირგიზელებისაგან, და თვით დაკვირვება ამ ყირგიზელებისაც, რომლებმაც ბოლოდროს თანდათან გაუმატეს ბაგარო მიწებზე ხვანათესავს, ცოტა არ

იყოს, რაღაც საიმედო ნიშნებს იძლევიან ამ მხრით. ხოლო იგივე გამოცდილება გვიმტკიცებს იმასაც, რომ საუკეთესო შედეგი მოსდევს მეურნეობას, როდესაც ურწყავი მიწები და სარწყავები ერთმანეთს ეხმარებიან, როდესაც დიდ სარწყავ მინდვრების შესაშველელად ერთი-ორი დესეტინა სარწყავი მიწაც არის ხოლმე დათესილი. თუ მეურნეს სარწყავი მიწა სრულებით არა აქვს, მისი მეურნეობა სათუთა, მეტადრე გოლვიან წელიწადებში.

გადმოსახლებულ რუსთა მეურნეობას კი მკვიდრი საფუძველი უნდა ჰქონდეს აქ, პოლიტიკური მნიშვნელობა რუსთა მოსახლეობისა აუცილებლად ხდის რუსთათვის სარწყავ მიწების მიცემას, რათა შეეძლოთ მათ თავიანთ მეურნეობაში ძვირფასი სამეურნეო კულტურაც შეიტანონ.

რუს ახალშენებს უნდა მიეცეთ სარწყავი მიწები.

ჩვენ იმას ვერ ვიზამთ, რომ თურქისტანის მუსულმანთა შორის დასახლებული რუსობა სიღარიბეს განიცდიდეს, იძულებული იყოს მოკრძალებას. პოლიტიკურად დაწინაურებას რუსებისას თურქისტანში უნდა ეკონომიური ძალღონეც მიეცეს სიმკვიდრისათვის. რუსებს უნდა ექიროთ ხელში უტყუარი სიმდიდრე მამულებისა, რომელსაც შეადგენენ მხოლოდ სარწყავი მიწები. სარწყავი მიწები კი დღეს ადგილობრავ მცხოვრებლებს უჭირავთ ხელში. მაშასადამე, უნდა ჩვენ საახალშენოდ ან მკვიდრთაგან გამოვიწყიდოთ ეს სარწყავი მიწები ან და ურწყავი მიწები გადავაქციოთ სარწყავებათ. ჩემს იქ ყოფნაში მე დავრწმუნდი, რომ სა-

ქირა უსათუოდ ჩვენ ერთი გზითაც ვიმოქმედოთ და მეორითაც.

საგლეხო ბანკის განყოფილების გახსნა თურქისტანში.

სარწყავ მიწების გადასასვლელად რუსების ხელში საჭიროა თურქისტანში გაიხსნას საგლეხო სადგომამშულო ბანკის განყოფილება. ეს აზრი დიდი ხანია დაიბადა, მაგრამ ყოველთვის წინააღმდეგობას იწვევდა. ამბობდნენ ვითომ ჯერ ერთი ადგილობრივი მკვიდრი არაფრის გულისათვის არ გაუშვებენ ხელიდან სარწყავ მიწებს ზოგიერთ პატარ-პატარა ნაკრების გარდა; მეორე — შესყიდვა ამ მიწებისა, სულერთია, შეუძლებელი იქნება იურიდიული უფლებების გამოურკვევლობისა გამო; მესამე — თვით რუსებიც არ შეისყიდან ბანკიდან მიწებს იმ ქვეყანაში, სადაც ახალშენელებს მუქთად ეძლევათ მიწები და მეოთხე — რომ კიდევაც შეისყიდონ რუსებმა სულერთია, ამ სარწყავ მიწებზე მეურნეობას ვერ შესძლებენო.

დაგირავება და გასყიდვა მიწებისა თურქისტანში.

ადგილობრივ საქმის კარგად გაცნობა მამედვინებს ვსთქვა, რომ ყველა ზემოხსენებული დაბრკოლებანი საქმარისად არ არიან დასაბუთებულნი. გრაფ პალენის რევიზიაც და ადგილობრივი გაცნობაც საქმისა აშკარად გვიჩვენებენ, რომ საბამზე რაიონებში თურქისტანში რაღაც იდუმალი შეგროვება ხდება მიწებისა. სენატორის რევიზიით შეკრეფილი სტატისტიკური ცნობები, თუმცა ნაწყვეტ-ნაწყვეტი არის, მაგრამ მაინც თვალნათლივ ამტკიცებენ ამას. ფერგანის მარტო ერთ საბამზე

რაიონში (ავალის ოლქში), სადაც 21¹/₂ ათასი კომლი მკვიდრი მოსახლეობს, ერთ ხალხის მოსამართლეს წიგნში, მაგალითად, 485 ნასყიდობაა შეტანილი ერთის წლის განმავლობაში.

საერთო ნიდაგი, რომელიც იწვევს ასეთს შემთხვევებს, ადვილი წარმოსადგენია. სარტის პატარა მაგრამ რთული მეურნეობა, რომლის ბედისხალხი ნიურიორკის ბაზარზე გამორკვეულ ბამბის მაზანდაზეა დამოკიდებული და პირველ საქროების მოთხოვნილებებს სყიდვით იკმაყოფილებს, ხშირად ყელამდე ვარდება ადგილობრივ ჩარჩებისაგან აღებულ ვალებში და ხელიდან უშვებს სარტი თავის მამულს.

საგირავნო ქაღალდებითა და ვექსელების ჩამორთმევით იქაურ ბაებს (ჩარჩებს) ადგილობრივი სასამართლების წყალობით ხელში უვარდებათ სარწყავი მიწები სულ მცირედ ფასში, თითქმის მუქთად. არიან იქ ადგილობრივი ურიები და სარტები, რომელთაც რამდენიმე ასი, ზოგჯერ ათასიც დესეტინა მიწა აქვთ ასე შეძენილი, და შეძლება იმათი, მაშასადამე, უდრის მილიონებს.

ამავე დროს იგივე ფერგანის ზოგერთ ოლქებში, მაგალითად, ასხაბადის მაზრაში უმამულოთა რიცხვი 300/0 შეადგენს მცხოვრებლებისას. აქედან ცხადია რომ სარწყავი მიწები ხშირად იცვლიან პატრონს, ვიდრე ეს უკანასკნელი არ გახდება დიდი შეძლების მქონე სარტი. თუმცა ძნელია მაგრამ სახელმწიფო უსათუოდ უნდა ჩაერიოს ამ საქმეში და რაოდენიმე ნაწილი ამ მიწებისა მაინც თითონ ჩაიგდოს ხელში.

რა თქმა უნდა, სახელმწიფო დაწესებულებებს არ შეუძლიანთ მკვიდრთა

უმიწაწყლოთ დატოვება გაიხადონ მისწრაფებად. პირიქით, მებაძგების წვრილი სესხით გამართვა სახელმწიფოსაგან ხელს შეუწყობს, ცხადია, ადგილობრივ მკვიდრთა მიერ ამ მიწების შენარჩუნებას. მაგრამ ზოგი დაუძლეული ოჯახი კი მაინც ვაჭყიდის თავის მამულს და იმის მაგიერ რომ მდიდარ სარტს ჩაუთვრდეს ხელში ისევ სჯობს ხაზინამ შეისყიდოს და სახელმწიფო საკუთრებას მოახმაროს.

საგლეხო ბანკის განყოფილების გახსნა შესაძინევ დახმარებას გაუწევს რუსების აქ გადმოსახლებას და არცარას ადგილობრივ მცხოვრებლებს დაუშვებდა. თითოეულ სარტის ოჯახისათვის, რომელიც დაიქვეითებს მატერიალურად, უფრო ხელსაყრელი იქნება ბანკს მიჰყიდოს მამული დიდ ფასში, ვიდრე ვალში დაუტოვოს ჩარჩს და გროში კაპეიკი არ მიიღოს. კერძო შემთხვევებში არ შეიძლება რომ მდიდარმა სარტმაც ან მის მემკვიდრებმა არ მოინდომონ რაოდენიმე ნაწილი მიწებისა ფულად აქციონ. დიდად სასურველია რომ საგლეხო ბანკმა ეს მიწებიც შეისყიდოს ხოლმე და გადმოსახლებულ რუსებს გამოაყენოს.

1905 წელს შეგროვილ ცნობებიდან სჩანს რომ მარტო ტაშკენტის მაზრაში საგლეხო ბანკს შეეძლო 6000 დესეტინა მიწა შეესყიდნა. როცა ბანკის განყოფილება გაიხსნება, მაშინ, რასაკვირველია, შესასყიდი მამულების რაოდენობა უფრო იმატებს.

საკუთრების უფლება თურქისტანში.

არც შეორე დაბრკოლება—რომ საკუთრების უფლება არ არსებობს თურ-

ქისტანში—არის საკმარისად დასაბუთებული. თურქისტანისათვის გამოცემულს კანონებში არ არის მხოლოდ ერთი სიტყვა: „საკუთრება“. სახელმწიფო საბჭო 1886 წელს მოერიდა ამ სიტყვის შეტანას კანონმდებლობაში მხოლოდ იმიტომ (როგორც ეს განმარტებიდანა სჩანს), რომ „ჯერ გამორკვევული არ არის საკმარისად არც მიწათმფლობელობა და არც წყლით სარგებლობა“, ხოლო ყველა ელემენტები საკუთრებისა კი მოყვანილია კანონში: მიწებით სარგებლობა, მფლობელობა, გამგეობა, მიწების სხვაზედ გარდაცემა და დამტკიცებაც კი მოყვანილია კანონში. ხოლო ცხოვრებამ სთქვა თვით სიტყვაც: საკუთრება.

თურქისტანის კანონმდებლობის 255 მუხლის ძალით მიწა მიეწერა მიწათმოწყობის დროს სოფლის საზოგადოებას, საიდანაც ცალკე პირებს აქვთ უფლება გამოყონ თავიანთი ხვედრი მამული და ოლქის მართველობიდან მიიღონ ამ გამოყოფის შესახებ მოწმობა, რომლის ძალით შეიძლება კიდევაც გაყიდონ სხვაზედ, თუ სურთ.

გასყიდვა შეიძლება გამოუყოფავი მამულისაც, მხოლოდ ამ შემთხვევაში მაზრის უფროსი აძლევს გასყიდვის უფლებას ხალხის მოსამართლესთან შეთანხმებით. თვით გასყიდვა მიწებისა ხდება—როდესაც ფასი 300 მანეთზე მეტია—კანონიერი ნასყიდობის წესით.

თურქისტანის კანონის დებულებანი (მუხლ. 208 და 263) სრულიად საკმარისნი აღმოჩნდნენ რომ რუსეთის მოსამართლეებს ადგილობრივ მკვიდრთა საკუთრებად ეცნათ ის მიწები, რომელიც მათ ჰქონდათ მიზომილი. ეს საკითხი უნდა ერთხელ და სამუ-

დამოდ გამოირკვას რუსეთის უფლებების მიხედვით და შეუდრკელად ითქვას რაც სათქმელია, ვინაიდან ამისათვის არავითარი ახალი საკანონმდებლო აქტის გამოცემაც კი არ არის საჭირო: პირდაპირ მართველობით გამოწვეულ საჭიროებად შეიძლება იყოს ცნობილი ან და შემდგე შიაც, როგორც ეხლა, ჩვენი მოქმედება ამ მხრივ არსებულ კანონმდებლობაზე და სამართლის წესზედ უნდა დავამყაროთ.

დაბრკოლება წინააღმდეგ წესიერ უფლების შემოღებისა მიწების შესახებ არსებობს უფრო კანონის აღსრულებაში, ვინემ თვით კანონში. ხანგრძლივი ლოდინი მოწმობის მიღებაში, მოსამსახურე პირთა ნაკლებობა, სიძნელე მამულის პლანის გადაღებაში და სხ.

მიუხედავად ამ დაბრკოლებისა მამულები ალაგ-ალაგ უკვე ბლომად არიან გამიჯნულნი და პლანზე გადაღებულინი. მარტო ტაშკენტის მაზრაში, მაგალითად, 84 ათასი დესეტინა მიწაა გაყოფილი და დაყოფილი. ადგილობრივი სახელმწიფო დაწესებულებანი დღესაც ვერ ასვლიან მამულების ცალკე გამოყოფას და გამიჯვნას, იმდენია მთხოვნელი, ხოლო იქაურ ხალხის მოსამართლეების მიერ მიღებულ მარტივის წესით კი ამ მამულების ხელიდან ხელში გადასვლა დიდი ზომით ხდება დღესაც მხოლოდ რუსეთის ინტერესების საწინააღმდეგოდ და არა სასარგებლოთ.

სარწყავ მიწების გასყიდვა რუსებზე

ამგვარად იქაურ მკვიდრთაგან მიწების შეძენა შესაძლოა საგლებო ბანკისათვის. შემდეგ ამ მიწების რუსებზე

გაყიდვასაც წინ არა უდგა-რა. გადამსახლებელ დაწესებულებათა მოქმედება იმავე დროს მოქმედებას საგლებო ბანკისას სრულიადაც არ დააბრკოლებს. ომსკში და იმიერ კავკასიაში ეხლა უკვე მოქმედობენ საგლებო ბანკის განყოფილებანი. გადამსახლებელ დაწესებულებებს აქვთ მუქთად დასარიგებელი მიწები ახალშენთათვის, მაგრამ ეს მიწები, როგორც ურწყავი მიწები იმდენად სასურველნი არ არიან. სარწყავ მიწებს კი თვით სახელმწიფოც ფასდადებით გასცემს ახალშენებზე; მაინცა და მაინც ყოველ შემთხვევაში ერთგვარი შეთანხმება ბანკთან მუდამ შესაძლოა.

რაც შეეხება იმას, ვითომ რუსი მეურნე ვერ მოახერხებს მეურნეობას სარწყავ მიწებზე—ეს აზრი დღეს უარყოფით თვით ცხოვრებამ ახალშენელების სოფლებით, რომელნიც ათობლივ და ოცობლივ ითვლებიან დღეს თურქისტანის საბაჰზე რაიონებში.

რასაკვირველია აქრელება მკვიდრთა გაბმული მოსახლეობისა რუსების მათ შორის ჩასახლებით ადვილი საქმე არ არის, დიდი სიფრთხილით უნდა შევეუდგეთ მას, მაგრამ თვით ცხოვრება იძლევა ზოგიერთ საიმედო ნიშნებს იმისას, რომ ამ სიძნელეს გაზვიადება არ უნდა, რომ შეუძლებელი აქ არა არის-რა. მე მაქვს სახეში ის შემთხვევები, რაც ტაშკენტის მაზრაში მოხდა, სადაც რუსეთის მართველობის დაუხმარებლივ თითო-ოროლა რუსის ოჯახმა მაინც მოახერხა მკვიდრთა შორის ჩასახლება, სძლიეს ყოველი დაბრკოლება და დაიმკვიდრეს აქ ცხოვრება იქაურებისაგან მამულების შეძენით საკუთრებად.

საგულსხმო ბანკი რომ იყოს აქ, რომ სარწყავ მიწების გვერდით ურწყავი მიწები სარწყავებათ ვაქციოთ და დავასახლოთ რუსები, მაშინ რასაკვირველია ზემოხსენებული შემთხვევები უფრო ხშირი იქნება. იქ, სადაც დღეს ადგილობრივ მკვიდრთა მოსახლეობაა შეურხეველად გაბმული, ამ მოსახლეთა შორის ჩაჩხირული თითო-ოროლა რუსის ოჯახის მდგომარეობა უფრო ფეხმოკიდებული და უშიშარი შეიქმნება.

მნიშვნელობა იქაურ დაქუცმაცებულ მამულებისა.

ბანკის მოქმედებას თურქისტანში დიდად დააბრკოლებს ის გარემოება, რომ მეტად წვრილი მამულებია აქ. მაგრამ შეიძლება ვინუგეშოთ იმით, რომ ასეთი წვრილი სარწყავი ნაქრები, რომელთა დაგირავება არ შეეძლება ბანკს, შუამავალთა დახმარებით გადავლენ რუსების ხელში. საზოგადოდ კი, რაც შეეხება იქაურ მამულების დაქუცმაცებას იმაზე უფრო მეტად, ვიდრე იმიერკავკასიაში ვხედავთ, ამას უნდა ასე თუ ისე შევვგუოთ. იქ სადაც მიწა ტანაპებით იზომება და არა დესეტინობით, სადაც სარწყავ დესეტინის ფასი 3 ათას მანეთამდე აღის, ხოლო შემთხვევით 150 მანეთშიაც იყიდება ხოლმე, იქ რასაკვირველია ბანკის მოქმედება ყოველ წლივ ვერ აამოძრავებს იმოდენა ზომის მიწას, რამდენიც ეს შესაძლოა ევროპიულ რუსეთში; მაგრამ სამაგიეროდ თვით მიწების **ღირებულობა** და ის სახელმწიფო მნიშვნე-

ლობა, რომელიც ექნება ამ მიწების რუსების ხელში გადასვლას, საგულსხმო ბანკის მოქმედებას თუ მეტს არა ნაკლებ მნიშვნელობას არ მისცემენ ვიდრე სხვა განყოფილებებს აქეთ.

თანახმად ამ მოსაზრებისა იქაური გენერალ-გუბერნატორიც და მისი საბჭოც და აგრედვე ყველა სხვა ადგილობრივი პირნიც, რომლებთანაც მე მქონდა ამაზე საუბარი, იმ აზრისანი არიან, რომ ქალაქ ტაშკენტში რაც შეიძლება ჩქარა უნდა გაიხსნას საგულსხმო ბანკის განყოფილება; მეც არ შემიძლიან არ დავეთანხმო იმათ აზრს. ხოლო გაზვიადება კი არ უნდა ამ საშუალების მნიშვნელობას; იგი არ შეედრება არცერთს იმათგანს, რომელნიც ზევით მოვიხსენიეთ—არამც თუ სარწყავ მიწების გამატებას ან ახალი რკინის გზების გაყვანას, არამედ არც წვრილ კრედიტის მოწყობას და მეურნეობის გაუმჯობესობას. ბანკი განახორციელებს მოქმედებას ვიწრო ფარგალში, შედეგი ამ მოქმედებისა იქნება პატარა. ამიტომ საშუალება იგი თავისი პრაქტიკული მნიშვნელობით პირველ ადგილს ვერ დაიკავებს მართველობის სამოქმედო გეგმაში, ხოლო ამ უკანასკნელის შესავსებათ კი როგორადაც საშუალება სარწყავ მიწებზე რუსების დასახლებისთვის, საგულსხმო ბანკის გახსნა თურქისტანში სასურველიც და სასარგებლოც იქნება.

(შემდეგი იქნება)



ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება

ტფილისი, 12 ივნისი 1913 წ.

ამა წლის ივლისში ქართული სამეურნეო საზოგადოება მართავს ქ. თბილისში კოოპერატიულ კურსებს.

კურსები მოკლე ვადასა და გაგრძელება სულ ათს დღეს 15—25 ივლისამდის.

კურსებზე წაკითხული იქნება ლექციები კოოპერაციის სხვა და სხვა საკითხებზე, ხოლო უმთავრესი ყურადღება მიექცევა სასოფლო სამეურნეო და საკრედიტო კოოპერაციას!

ლექციებს წაიკითხვენ რუსულად და ქართულად. ლექტორებად მოწვეულნი არიან როგორც რუსეთის ცნობილი ლექტორები, ისე ადგილობრივი ლექტორებიც.

ლექციები განზრახულია სოფლის ინტელიგენციისთვის უმთავრესად მათთვის, ვინც ხელმძღვანელობს კოოპერატიულ დაწესებულებათ, ან ასეთ ხელმძღვანელობას აპირებს.

ამისათვის სამეურნეო საზოგადოება ეცდება სოფლიდან ჩამოსულ პირთ ყოველგვარი დახმარება გაუწიოს, რომ თბილისში ცხოვრება ათი დღის განმავლობაში ძვირი არ დაუჯდეთ. ჩამოსულებს შეეძლება უფასოთ მოსმენა ყველა ლექციებისა (გადახდება მხოლოდ საანგარიშო ბლანკებში ათი შაურიდან ერთ მანეთამდე). საზოგადოებას ნაშოვნია აქვს 40 კაცისათვის უფასო ბინა და საშუალება იქნება ამ 40 კაცს სასმელ-საჭმელი მიაწოდოს დღეში არა უძვირეს 30 კაპ. თითოს.

რადგანაც უფასო ბინის და შეღავათიან პირობებში საჭმელ-სასმელის მიმღებთა რიცხვი განსაზღვრულია, საზოგადოება სთხოვს კოოპერატიულ დაწესებულებათა გამგებებს და იმ კერძო პირთ, ვინც სოფლიდან კურსებზე ჩამოსვლას მოისურვებს, შემოუთვალონ საზოგადოებას (აღრესი: Тифлис, Барятинская, 5, Грузинскому Обществу Сельского Хозяйства) არა უგვიანეს 1 ივლისისა. თუ სოფლიდან ჩამოსულთა რიცხვი 40 კაცზე მეტი აღმოჩნდა, უფასო ბინაზე დგომის უპირატესობა მიეცემა იმათ, ვისი განცხადებაც უფრო ადრე იქნება მიღებული.

კერძო მსმენელთათვის ყველა ლექციების მოსმენა ეღირება 2 მან. ან თითო ლექციისა (1-2 საათი) 20 კაპ.

პ რ o გ რ ა მ ა კ უ რ ს ე ბ ი ს ა

1. კოოპერაციის განვითარება, 4 საათი (ქართულად)
ლექტორი სვ. რ. ვახვახიშვილი.
2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, 8—12 საათი
(რუსულად. ლექტორი ა. ევდოკიმოვი.



- 3. წვრილი კრედიტის დაწესებულებანი, 6—7 საათი (რუსულად) ლექტორი ა. ა. ორლოვი.
- 4. ანგარიშის და საქმის წარმოება წვრილი კრედიტის კოოპერატიულ დაწესებულებებში— 12 საათი (ქართულად) ლექტორები კ. პ. კანდელაკი, ა. მ. კახელაძე.
- 5. მომხმარებელი საზოგადოებანი 5—6 საათი (რუსულად) ლექტორი ა. ა. ორლოვი.
- 6. კოოპერატიული მოძრაობა საქართველოში—4 საათი (ქართულად) ლექტორი ი. გ. ქუთათელაძე.
- 7. ჩვენი ეკონომიური ცხოვრება და კოოპერაცია—3 საათი (ქართულად) ლექტორი დავ. ვ. ვაჩნაძე.

ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭო.

20 თიბათვიდან 17 მაისამდე სოფელ დიდ კარაკლისში, ევრენის გუბენია, გაიხსნება მიწათმოქმედების

უფასო საზაფხულო კურსები მერძე-მეყველეობისა და მესაქონლეობისა.

ცნობის მისაღებად, ვისაც სურს, მიმართონ ტფილისში ა. ა. ქალანთარს (გრიბოდოვის ქ., № 5), სოფ. დიდ-კარაკლისში კი კურსების გამგეს ა. ზ. თამამშევს.

სამეურნეო უურნალი

„წელიწადი მეხუთე“ მოსავალი „წელიწადი მეხუთე“

მიიღება ხელის-მოწერა 1913 წლისათვის

უურნალი ღირს ფელიწადუი ვ მან.

მისამართი: Тифлисъ, Бяратинская, № 5.

„მოსავლის“ რედაქციაში ისყიდება უურნალის კომპლექტები 1909 წ., 1910 წ., 1911 წ. და 1912 წ., უყდო და ყდაკაზმული.

იყიდება აგრედვე ცალკე გამოცემები:

„კანონი“ მეღვინე-მევენახეთა კომიტეტისა	15	კაპ.
„იონჯა“	5	”
„კართოფილი“	5	”
„ბამბის თესვა-მოყვანა“	5	”
„ქიმია როსკოსი“ (—მეორე გამოცემა)	30	”
„საზოგადოებრივი ცხოვრებიდამ და შვეიცარიის ძირითადი კანონები	25	”
„კრებული არიმეტიკული ამოცანების“	50	”
„მცენარენი და ცხოველნი“	40	”

რედაქ.-გამომცემელი გ. ი. რცხილაძე